რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 6 ივნისი 1917 წ. 127

ერთობა

ფასი 7 კაპ.

[illegible]

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 64 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 64

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

სოც.-დემოკ. კლუბი მეოთხე სამილიციო ნაწილისა

მოთავსებულია პუშკინის საქალაქო სასწავლებელში, სურბ-სარქისის ქუჩა, აქვე შეიძლება პარტიაში ჩაწერა, გაზეთების გამოწერა და წიგნაკების შეძენა.

ქ. ქუთაისში სამშაბათს, 6 ივნისს საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

ნესტორ დიმიტრის ძის ჩოგოვაძის

სულის მოსახსენებლად.

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებით გულმოკლული მეუღლე მათიკო ანტონის ასული, დედა ნატალია, პატარა შვილები ტიტიკო და თამარა.

სახალხო სახლი.

ოთხშაბათს, 7 ივნისს ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა უ. შექსპირისა,

ოტელლო.

ტრაგ. 5 მოქ. თარ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მსახიობნი, ოტელლოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. რეჟისორი კ. ქ. ანდრონიკაშვილი.

ფოთის ორგანიზაცია რუს. ს. დ. მ. პარტიისა აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ 28 მაისისათვის დანიშნული პარტიული ამხანაგების

დამფუძნებელი კრება

იქნა გადადებული 4 ივნისისათვის. მოუწოდებს ამხანაგებს დანიშნულ რიცხვს, 2 საათზე მობრძანდნენ ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში. იმავე დღეს მიიღება ახალი წევრები.

დღის წესრიგი: 1) კომიტეტის მოხსენება; 2) ომი და ზავი; 3) მუშათა საკითხი; 4) ნაციონალური საკითხი; 5) აგრარული საკითხი; 6) ჩვენი ტაქტიკა; 7) წესდება კავკასის სოც.-დემ. მუშათა პარტიის; 8) დამფუძნებელი კრება; 9) პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი.

ფოთის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პარტიისა.

ორშაბათს, 7 ივნისს, ახალ სენაკში დანიშნულია

სენაკის მაზრის ს.-დ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება.

განსახილველია საოლქო სიეზდის კითხვები და ასარჩევია დელეგატები.

3—2 **ს.-დ. კომიტეტის ბიურო.**

ამხანაგებო და მოქალაქენო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება!

28 მაისს ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენათ. ეს აღწერა გაგრძელდება სამ დღეს.

უკეთუ აღმწერლები თქვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე მიზეზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუყონებლივ შეატყობინეთ ეს საარჩევნო კომიტეტს (არტისტიულ საზ. შენობაში გოლოვინის პროსპ.) ან მახლობელ კოოპერატივში, პროფ. კავშირში, მუშათა დეპუტ. საბჭოში, ადგილობრივ ცეხების ან ფაბრიკა-ზავოდების კომისიებში, ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ სახელი, გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე უნდა აღინიშნოს მათი წლოვანება სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. შეატყობინეთ აგრეთვე იმავე დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქვეშევრდომთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში არ ჩაგწერენ თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას დემოკრატიულ ამომრჩევლის ერთი დაკარგული ხმა ნიშნავს პლუტოკრატიის გაძლიერებას და დემოკრატიის დასუსტებას.

არ დაივიწყოთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მოქალაქენო

ბინის დამქირავებელნო VII უბნისა!

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბინის მომწესრიგებელი საბჭო აცხადებს, რომ კვირას, 4 ივნისს, 1917 წელს, შუადღის 12 საათზე მე-5 ვაჟთა გიმნაზიაში შესდგება მესამე და უკანასკნელი კრება მეშვიდე უბნის ბინის დამქირავებელთა, 4 წარმომადგენლის ასარჩევათ საუბნო ბინის მომწესრიგებელ კომიტეტში. კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენიც არ უნდა გამოცხადდეს.

ქალაქ. აღმასრულ. კომიტეტთან არსებული ბინის მომწესრიგებელი საბჭო.

ქ. თფილისის ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი,

ამით აცხადებს, რომ კომიტეტის კანცელარია 1-ლ ივნისიდან გადავიდა პუშკინის ქუჩაზე № 5 (საბირჟო კომიტეტის სადგომში) ტელეფ. № 8—04.

კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, საღამოს 7 ნახ. ს-დან 8 ნახ. საათამდე არის მორიგე წევრნი მოსამსახურეებთან დამოკიდებულების მომწესრიგებელ კომისიისა, განცხადებების მისაღებათ და მთხოვნელებთან პირადათ მოსალაპარაკებლათ.

3—2

1-ლი თფ. ინტერნაციონალური შრომის არტელი

იღებს ყოველგვარ სამუშაოს:

ხარატო-მექანიკურ სასლესრო-საწყალსადენო, სპილენძისა, ცინკისა ქესტის სამუშევრებს, აგრეთვე იღებს ავტომობილების რადიატორებს, და ფარორებს.

ფედოროვის ქ. № 1, ფედოსიევის ეკლესიის პირდაპ 4—1

მოწოდება

თფილისში მცხოვრებ რაჭა-ლეჩხუმელთა მიმართ.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა დემოკრატიულ ორგანიზაციების შექმნა და გაძლიერება. მათი საშუალებით შესაძლებელია რევოლუციის გაღრმავება და მისი საბოლოოთ გამარჯვება. ამიტომ ჩვენი ქვეყნის იმ კუთხეებს, სადაც ნაკლებათ მოიპოვებიან, რევოლუციის მებაირახტრენი და ხალხში შეგნების შემტანნი, ესაჭიროება გულ-შემატკივარნი და დამხმარენი. საჭიროა ასეთ კუთხეებს მიაქციოს ყურადღება შეგნებულმა ქალაქის რევოლუციონურმა ელემენტებმა. რაჭა-ლეჩხუმიდან გლეხთა და მუშათა ყრილობაზე ჩამოსულმა დელეგატებმა, მოიწვიეს რა თფილისში მცხოვრებ რაჭა-ლეჩხუმელთა კრება, აუწყეს ამ ორი მაზრის უმწეო მდგომარეობა. კრებამ საჭიროთ სცნო ქალაქიდან სოფლების დახმარება და აირჩია „რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი“ 15 პირისაგან შემდგარი, რომელმაც უნდა გაუწიოს სოფლებს დახმარება ფულით, ჟურნალ-გაზეთებით, რევოლუციონური ლიტერატურის და შეგნებულ პროპაგანდისტების მიწოდებით.

რაჭველებო და ლეჩხუმელებო!

თუ თქვენ გაინტერესებთ რევოლუციის გამარჯვება, დამფუძნებელ კრების არჩევნებში დემოკრატიის გამარჯვება და მშობლიური კუთხის გონებრივი წარმატება, დაგვეხმარეთ ფულით, ჟურნალ-გაზეთებით, რევოლუციონური ლიტერატურით და თქვენი გონივრული მოქმედებით, რათა ზემორე დასახელებულ კომიტეტს საშუალება მიეცეს შეასრულოს პირნათლად ხალხისა და რევოლუციის წინაშე თავისი მოვალეობა.

შემოწირულება მიიღება:

1) თფილისის მე-3-მე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კანტორაში, ხაზინადარ ლავრენტი გაგოშიძესთან. (ვერის დაღმართი, გაბრიჭიძის სახლი № 21), 2) „რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ზაქარია ბიჭაშვილთან. (პრიუტის ქუჩა № 4) 3) ამავე კომიტეტის მდივნის მიხა [illegible], (პუშკინის ქ., [illegible] „[illegible]“ ბაღის პირდაპირ).

3—1 **რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი.**

მ. მ. შაბრაზიანცი

შინაგან ავათმყოფობათა [illegible] იღებს ახალ **რენტგენის ელექტრო-წამლობის** კაბინეტში გახსნილი და წამლობს სხივებით, აგრეთვე **ყველანაირ [illegible] წამლობა** და [illegible] წამლობა: [illegible], [illegible], დიდი [illegible] **და [illegible]** [illegible], გულისთვის, [illegible] და აგრეთვე [illegible], სისხლ ნაკლებობის, [illegible], ნევრასთენიისთვის. [illegible] [illegible], და [illegible]. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სტომატოლოგიურ ავათმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი [illegible]

ს. ა. ლექავა

შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52.

10—10

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ 5—8 საათამდე.

იმპერიალისტები და სეპარატიული ზავი.

გერმანიის მთავრობა დიდ ფაცა-ფუცშია. წინააღმდეგ მისი მოლოდინისა ომი მეტათ ხანგრძლივი გამოდგა. ამავე დროს მოკავშირენი, უპირველესათ ინგლისი და საფრანგეთი წინააღმდეგი არიან საყოველთაო ზავის ჩამოგდებისა. ინგლისის იმპერიალისტები მზათ არიან ომი კიდევ რამოდენიმე წლით განაგრძონ, ოღონდაც გერმანია გასრისონ და მსოფლიოში თავისი ჰეგემონია განამტკიცონ. ასეთ პირობებში გერმანია სეპარატიული ზავის ჩამოგდებაზე ოცნებობს. აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა პრინცმა ლეოპოლდ ბავარიელმა რუსეთის მთავრობას რადიო-დეპეშით აცნობა, რომ გერმანია და ავსტრია თანახმა არიან რუსეთს მოურიგდენ და ამიტომაც სეპარატიული შეთანხმების მიზნით რწმუნებულთა დანიშვნას ითხოვენ.

საერთაშორისო დემოკრატიამ თავიდანვე დაგმო სეპარატიული ზავი. და ეს იმიტომ, რომ ეს ნიშნავს არა ომის დაბოლოვებას, არამედ მის ახალ ფორმებში დაწყებას. ჩამოაგდეთ ზავი გერმანიასა და რუსეთს შორის, ეს იქნება ინგლისსა და რუსეთს შორის დამოკიდებულების გამწვავება. მოსალოდნელია ამ შემთხვევაში ინგლისს გვერდში ამოუდგეს იაპონია და ხოცვა-ჟლეტამ კიდევ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღოს. მეორე მხრივ სეპარატიული ზავი ნიშნავს იმპერიალისტთა წისქვილის აბრუნებას. რუსეთის რევოლუცია თანდათან არღვევს იმ ჩინურ კედელს, რომელიც აღმართული იყო მეომარ სახელმწიფოთა შორის. საერთაშორისო პროლეტარიატი ერთი მეორეს უახლოვდება. ამ დღეებში ქ. სტოკჰოლმში ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენცია შეიკრიბება. მისი მიზანია საყოველთაო ზავის მოახლოვება ანექსიისა [illegible] კონტრიბუციის [illegible]

ციონალის ხელახალ აფეთქებას უდრის. ეს ხელს შეუწყობდა მოწინააღმდეგე ქვეყნების მუშათა შორის შოვინიზმის გაღვივებას და მათ იმპერიალისტებთან დაახლოვებას.

დადგა დრო, როცა ყველასთვის აშკარაა, რომ იმპერიალისტებს არ ძალუძთ ომის დაბოლოვება. ეს სავსებით საერთაშორისო დემოკრატიის საქმეა. მისი ინტერესია საყოველთაო ზავის მოახლოება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მკვიდრი ზავისთვის საფუძვლის ჩაყრა საიდუმლო დიპლომატიის აღკვეთით, სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს დაწესებით და მუდმივი ჯარის მოსპობით. ვინც ამ გზას უარყოფს, ის ნებით თუ უნებლიეთ იმპერიალისტთა საქმეს აკეთებს.

გერმანიის მთავრობა სეპარატიული ზავის ჩამოგდებას ეტრფის. რუსეთის დემოკრატია მას პასუხს გასცემს ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენციის მოწვევით და საყოველთაო უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის სასარგებლოთ ფართო აგიტაციის წარმოებით.

მომავალ საქალაქო არჩევნების გამო.

მოქალაქენო! რუსეთის დიდმა რევოლუციამ თქვენ პოლიტიკური თავისუფლება მოგანიჭათ და განურჩევლათ სქესისა და ეროვნებისა პირველათ უფლება გეძლევათ მომავალ განახლებულ საქალაქო თვითმართველობაში თქვენი ინტერესების დამცველი პირები აირჩიოთ.

ამ ჟამათ თქვენ დიდ რევოლუციისა და უდიდეს ეკონომიური კრიზისის ხანაში მოგიხდებათ არჩევნები და იმედია თითეული პირნათლად შეასრულებს თავის მოქალაქობრივ მოვალეობას.

თქვენი მოვალეობაა განურჩევლათ ეროვნებისა განსაზღვრულ პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულების პარტიის სოციალ-დემოკრატიის გარშემო მოიყაროთ თავი და ამ გზით განამტკიცოთ და განაღრმავოთ რევოლუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება.

განახლებულ მომავალ არჩევნებს გარდა პოლიტიკური მნიშვნელობისა აქვს აგრეთვე ადგილობრივი ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა. თფილისის მუშათა კლასის ერთად-ერთმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი კომუნალური პლატფორმა შეიმუშავა და ამ პლატფორმას ამ დღეებში გამოაქვეყნებს.

პლატფორმაში სავსებით გარკვეულია დემოკრატიის ფართო ეკონომიური და სოციალური მოთხოვნები, რომელიც მომავალში დემოკრატიულმა თვითმართველობამ ცხოვრებაში უნდა გაატაროს. ეს მოთხოვნები თქვენთვის იმით არის დიდ მნიშვნელოვანი, რომ მომავალი დემოკრატიული თვითმართველობა კომუნალურ მეურნეობას, საქალაქო ეკონომიურ ცხოვრებას წეს რიგში მოიყვანს, ადგილობრივ საქალ. საქმეებს მოაშორებს იმ მძიმე პირობებს, რომლის მძიმე უღელს ქვეშ თფილისის მცხოვრებნი რამდენიმე ათი წლიწადი გმინავდა.

თფილისის გაბატონებულმა კლასებმა და პლუტოკრატიამ ცენზიან საარჩევნო უფლების მეოხებით ქალაქის თვითმართველობა ხელში ჩაიგდო და მას თავისი ინტერესების განსამტკიცებლათ აყენებდა. მაგრამ მას დღეს ასეთი პრივილეგიები მოესპო, ყველა 20 წლის მოქალაქეს განურჩევლად სქესისა და ეროვნების უფლება მიეცა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს და თავისთვის სასურველი ხალხი აირჩიოს.

ახლა საქმე იმაშია, თუ თფილისის დემოკრატიამ ვინ უნდა აირჩიოს და ამ არჩეულ ხალხს რა უნდა დაავალოს გასაკეთებლათ.

მომავალ თვითმართველობაში მრავალი საქმე იქნება გასაკეთებელი და ეს კი ბევრმა არ იცის. ამიტომ საჭიროა მოკლეთ განვმარტოთ და მით აშკარათ განვუმარტოთ დემოკრატიულ მცხოვრებთ, თუ რის გაკეთებას შეუდგებიან მომავალი დემოკრატიის მიერ არჩეული ხალხი საქალაქო საქმეებში.

ამ საერთო ეკონომიური კრიზისის ხანაში [illegible] დემოკრატიულ მცხოვრებთ [illegible] საკითხი [illegible] თქვენი ცოლები [illegible] 5 მთელი დღით.

ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო ხმები.

ფურნებისა და სანოვაგეს დუქნების კარებთან არ იყვნენ ატუზულები, რომ რამდენიმე გირვანქა პური და ხორცი მიიღონ, ამისთვის კი საჭიროა მომავალმა ქალაქის თვითმართველობამ პირველ მოთხოვნილების საგნები თითონ შეიძინოს და იგი მცხოვრებთ შორის თანასწორად განაწილოს. საჭიროა საქალაქო დუქნები, საქალაქო პურის საცხობები და სხვა სასურსათო დაწესებულებები. ამასთან ქალაქის თვითმართველობამ ყოველი ზომა უნდა მიიღოს, რომ სურსათის სპეკულიაციას ადგილი არ ქონდეს და მშიერი დემოკრატია უმოწყალოთ არ იყვლიფებოდეს.

თქვენთვის საჭიროა ბინის საკითხის მოწესრიგება, ბინებზე ფასების დაწევა და ამისათვის კი საჭიროა აშენდეს იაფ ფასიანი ბინები და დაუყონებლივ მოხდეს ცარიელი მიწების აღნუსხვა და მათი ზომიერ ფასებში დამქირავებლებზე გადაცემა.

საჭიროა შრომის დაცვა და შრომის პირობების გაუმჯობესება. ეს კი შეიძლება საქალაქო შრომის ბირჟის მოწყობით, სადაც ყველა პროფესიის უმუშევრად დარჩენილი ადამიანი შესაფერ სამუშაოს იშოვის. ქალაქის თვითმართველობა შრომის კომისიის მეოხებით სხვადასხვა წარმოების დარგებში თვალყურის დევნას დაიწყებენ და ამ გზით ყველგან შრომის პირობებს გააუმჯობესებენ.

გჭირიათ საყოველთაო უფასო განათლება ორთავ სქესისათვის 16 წლამდის, უფასო სახელმძღვანელოები, საკვირაო სკოლები და სხვა კულტურული დაწესებულებანი, რომლებიც დემოკრატიის განათლებას ხელს შეუწყობს და ეს ყველა ქალაქის თვითმართველობებმა თავს უნდა იდვას.

საჭიროა ქალაქის უკეთეს სანიტარულ პირობებში ჩაყენება; ქუჩების გასუფთავება, უფასო საექიმო დახმარება, საქალაქო აფთიაქების გახსნა განაპირა უბნებში, სანიმუშოთ იაფ ფასიან აბანოებისა და სამრეცხაოების გახსნა და სხვ. თქვენ გჭირიათ უფასო იურიდიული დახმარება, თქვენ გჭირიათ საზოგადოებრივ-უფლებრივი უზრუნველყოფა, გჭირიათ მილიცია, რომელიც სარაიონო საბჭოებს დაემორჩილება და თვით მილიციის კომისარებიც უნდა ირჩეოდენ.

საჭიროა ქალაქის გაფართოება, თავისუფალი, ცარიელი მამულების შეძენა, რომელზედაც მომავალმა ქალაქის თვითმართველობამ იაფ ფასიანი ბინები უნდა ააშენოს. ქალაქის ხელში უნდა გადავიდეს ყველა წარმოებები, რომლებსაც მონოპოლიური ხასიათი აქვთ, როგორიც არის განათება, გათბობა, მიმოსვლა და სხვა.

საჭიროა ცხოვრებაში გატარებული დემოკრატიული გადასახადების სისტემა, რომლის ძალითაც ქალაქის ხარჯებს უმთავრესათ შეძლებული კლასები იხდიდენ და ღარიბები კი განთავისუფლდენ ასეთ გადასახადებიდან.

აი ის მთავარი მოთხოვნები, რომელიც თქვენ მიერ არჩეულმა ხალხმა ცხოვრებაში უნდა გაატაროს და ასეთი იდეის ხალხი უნდა აირჩიოთ.

პრესა.

„მოსკოვის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ ეხება საკითხს, თუ საიდ უნდა იშოვოს ფული სახელმწიფომ საჭირო ხარჯების დასაფარავათ. გაზეთის სიტყვით თავისუფლების სესხმა არ გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე საზოგადოება ამყარებდა, თუმცა იმაზე მეტი მაინც შეგროვდა, რაც ძველი მთავრობის მიერ გამოცემული სესხის დროს შედიოდა ხაზინაში. ეს აიხსნება იმით, რომ

„თავისუფლების სესხს ახარი დაუჭირა გლეხობამ და ქალაქის დაბალ და საშუალო შეძლების კლასებმა—ხშირად მოქალაქეებს ძვირფასი ნივთებიც (ოქროს ბეჭდები სხვ.) კი მიჰქონდათ ამ მიზნით, კაპიტალისტები კი ამ დროს ყიდულობდენ სხვადასხვა საზოგადოებათა აქციებს და ეწეოდენ სპეკულიაციას“.

თუმცა მათ დროებითი მთავრობა მუდამ ეუბნებოდა:

„ვინც თავისუფლების სესხზე ხელს აწერს, ის ამით საიმედო ალაგას ინახავს თავის თანხას კარგის სარგებლით“.

მაგრამ კაპიტალისტები ასე მსჯელობდენ:

„სხვადასხვაგვარ სპეკულიაციებში მონაწილეობით უფრო მეტს სარგებლობას ვნახავთ, ვინემ თავისუფალ სესხზე ხელის მოწერითო“...

გაზეთის აზრით, თუ ასე წავიდა სესხის საქმე,

„დაბოლოს სახელმწიფო უფულოთ დარჩება, ამიტომ მთავრობამ კი არ უნდა სთხოვოს კაპიტალისტებს და საზოგადოთ შეძლებულ კლასებს, რომ მათ სესხზე ხელი მოაწერონ, არამედ—უნდა მოსთხოვოს, აიძულოს ისინი. წინეთ თუ ბურჟუაზია გაიძახოდა: „სალდათებო, სანგრებში გეუშვერეთ,—მუშებო ყუმბარები დაამზადეთო“, ეხლა მთავრობამ ბურჟუაზიას უნდა შესძახოს: „თავი მოხსენით საფულე ქისებს“, ვინაიდან ამას მოითხოვს ხალხის, ჯარისა და სახელმწიფოს ინტერესები“.

⁂

„ტფილისის მუშათა და სალდათა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ ეხება რუ[illegible] ადგილებში დაარსებულ „რესპუბლი-კებს“—როგორიცაა კრონშტადტის, ცარიცინის, ტომსკის, ხერსონის, კირსანოვის და სხ., რომლებიც უნდობლობას უცხადებენ დროებით მთავრობას, შემდეგ სწერს:

„ამხანაგ „ბოლშევიკებში“ არის ისეთი იდეური მიმდინარეობა, რომელსაც სასარგებლოთ მიაჩნია მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა და სალდათთა საბჭოების ხელში გადასვლა მართვა-გამგეობის მხრით. ეს ჰქმნის ერთნაირ ავათმყოფურ ატმოსფერას, რომელშიც ათასი ვიგინდარები „მოღვაწეობენ“ სხვადასხვა ადგილებში. „ბოლშევიკებში“ არსებული იდეური მიმდინარეობა იმათთვის საუკეთესო საფარია. ყველა ეს „რესპუბლიკები“ თავიდან ბოლომდე ერთნაირი პროვოკაციაა. ვიღაცეებს სურთ რუსეთის რევოლიუცია პროვოკაციულათ აქციონ, ის დაღუპონ და ამ მიზნით „რესპუბლიკების“ დასაარსებლათ ასე თავგამოდებით მოღვაწეობენ“.

საყურადღებო ყრილობა.

სამ ივნისს პეტროგრადში გაიხსნა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების დელეგატთა ყრილობა. თავმჯდომარეთ აირჩიეს კარლო ჩხეიძე, რომელიც დამსწრეთ ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით მიესალმა.

მისალმების ღირსია ეს ყრილობა, დიდ მნიშვნელოვანია მისი დანიშნულება. პეტროგრადის ყრილობაზე თავს იყრის ნამდვილი რევოლიუციონური ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც მომენტისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ მსჯელობას იქონიებს, დროს შესაფერ რეზოლიუციებს გამოიტანს; ეს რეზოლიუცია დადგენილებები რუსეთის რევოლიუციონურ პარტიებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციებათ გადაიქცევა.

დღეს მდგომარეობა გართულდა, რევოლიუცია თანდათან ღრმავდება, სხვადასხვა პარტიებისა და სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები როგორც საშინაო პოლიტიკაში, ისე საგარეოში განსაკუთრებულ და განსხვავებულ შეხედულებას ქმნიან და ამ შეხედულების მიხედვით სხვადასხვა ნაირათ მოქმედებენ.

უკანასკნელი გარემოება კი რევოლიუციონურ ძალას აქუცმაცებს, რევოლიუციონურ ძალებს ქსაქსავს და მით მის განტკიცებას მეტისმეტათ ხელს უშლის.

ასეთ პირობებში რევოლიუციონურ ორგანოების მიერ ცენტრალური ყრილობის მოწვევა, როგორც ვ თქვით მეტად დიდმნიშვნელოვანია და ეს ცენტრალური ყრილობა თავისი საყოველთაო დადგენილებით რუსეთის რევოლიუციონურ ძალებს ორგანიზაციულათ აამოქმედებს.

დიდია მისი მნიშვნელობა, როგორც შიდა რუსეთში ისე მთელი საერთაშორისო მუშათა კლასისათვის. რუსეთის დემოკრატია ამ ჟამათ საერთაშორისო პროლეტარიატის გამოფხიზლების მოციქულია და მისი დადგენილებები, განსაკუთრებით ომისა და ზავის საკითხის შესახებ დიდ როლს ითამაშებს.

პეტროგრადის ყრილობაზე ერთ მთავარ საკითხათ ზავის საკითხი იქნება წამოყენებული და იმედია ეს ყრილობა არ გადაუხვევს უკვე არჩეულ გზას და უკონტრიბუციო და უანექსიო ზავს—ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებულს მოითხოვს.

ასეთ რეზოლიუციის გამოტანა თავის გარშემო უფრო მეტათ აამოძრავებს, როგორც რუსეთის ისე საერთაშორისო დემოკრატიას და მისი ლოზუნგები სტოკჰოლმის სოციალისტურ სამშვიდობო კონფერენციის ლოზუნგებათ გადაიქცევა.

ამ სახით ვესალმებით რუსეთის რევოლიუციონურ ორგანოების დელეგატების ყრილობას და ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას, რომელმაც რუსეთის რევოლიუციის გაღრმავებას ხელი უნდა შეუწყოს და საერთაშორისო ზავის ახლო მომავალში ჩამოგდება დააჩქაროს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 3—4 ივნისი).

საბერძნეთის მეფის გამგზავრება.

პარიზი. გავასის სააგენტოს სოლუნიდან დეპეშით ატყობინებენ: დღეს დილით ნავთსადგურ სროკოსიდან გაემგზავრენ მეფე კონსტანტინე, დედოფალი სოფიო, მეფის ძე პავლე, ლადობი და სამი პრინცესა.

არეულობა.

ჟიტომირი. ნოვოგრადვოლინსკის მაზრის ს. გიშოვოში ეკონომიურ ნიადაგზე ბრბომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მონაწილეობით არეულობა მოახდინა. დაატუსაღეს პოლკოვნიკი პაპოვი და რამდენიმე მოქალაქე.

კირსანოვის რესპუბლიკა.

პსკოვი. კირსანოვის რესპუბლიკას ბოლო მოუღეს. დაატუსაღეს და ტამბოვში მიიყვანეს 22 კაცი.

კერენსკის გაშავება.

მოსკოვი. ს.-რევოლიუციონერთა ყრილობაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი, რომელშიაც შედიან: გოცი, რაკიტნიკოვი, რუსანოვი, მიწათმოქმედების მინისტრი ჩერნოვი და აკსენოვი. კერენსკი გაშავეს, მან ნახევარზე ნაკლები ხმა მიიღო. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ კერენსკის მოქმედება ფრონტზე არ ეთანხმება პარტიის ტაქტიკას და პროგრამას.

უკრაინის რადის მოწოდების შედეგი.

ადესა. უკრაინის რადის მოწოდების გამო სანამ უკრაინის ჯარის ნაწილებს არ შეადგენენ, არ წავიდენ ფრონტზე, ერთ სათადარიგო პოლკის როტებმა უარი განაცხადეს წასვლაზე. უკრაინელებმა დელეგატები გაუგზავნეს ფრონტის მთავარ სარდალს ნება მიეცა უკრაინელთა პოლკების მოწყობის. რადის კრებაზე პროვოკატორები უწოდეს იმ ოფიცრებს, რომლებმაც წასვლა ურჩიეს როტებს. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის კრება დილამდის გაგრძელდა: კრებაზე დიდი აურ-ზაური ატყდა. კრებას შტაბის უფროსი დაესწრო. კრებამ უკრაინელთა მიერ წამოყენებული მოთხოვნა უდროოთ სცნო.

ავსტრიელ პარლამენტიორების დაჭერა.

ადესა. ნამდვილ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ იეუპოლის რაიონში დაიჭირეს ავსტრიელი პარლამენტიორები: ორი ოფიცერი და ორი ჯარის კაცი. გამოირკვა, რომ ისინი ავსტრიის მესამე არმიის დაზვერვის განყოფილებაში მსახურობდენ და რუსეთის ჯარში საგიტაციოთ გამოგზავნეს.

გერმანელთა ხრიკები და მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს მოწოდება.

პეტროგრადი. გზავნება არმიას და ფლოტს 30 მაისს 1917 წელს ჩვენმა რადიოტელეგრაფულმა სადგურებმა გერმანელთა რად.-ტელ. მიიღეს, რომლითაც აღმოსავლეთ ფრონტის მთავარსარდალი პრინცი ლეოპოლდი აცხადებს, მებრძოლი სახელმწიფოები მზად არიან ზავი ჩამოაგდონ და წინადადებას აძლევენ რუსეთს მოკავშირეთა დაუკითხავათ გაგზავნოს თავის წარმომადგენლები ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლათ. ვილჰელმის ჯარის ბელადის ამ გვარ მოქმედებას, რომლითაც მას უნდოდა იჭვი დაეთესა რუსეთის რევოლიუციონურ ჯარში, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ შემდეგი მოწოდებით გასცა პასუხი: „აღმოსავლეთ ფრონტის გერმანიის მთავარსარდალმა პროვოკაციულ მოწოდებით მიმართა ჩვენ ჯარებს. რა წინადადებას აძლევს ჩვენ რევოლიუციონურ ჯარებს იმპერატორი ვილჰელმის გენერალი? მისი სიტყვით თითქოს ის ისეთ წინადადებას აძლევს, რომელიც რუსეთის ჯარს სწყურია ე. ი. უჩვენებს საპატიო ზავის ჩამოგდების გზას. ასე ამბობს ეს პატივცემული გვამი, რადგან კარგათ იცის, რომ რუსეთის დემოკრატია გარდა საპატიო ზავისა სხვა ზავს არ მიიღებს. მაგრამ ჩვენთვის საპატიო ზავი არის მხოლოდ ზავი უკონტრიბუციო და უანექსიო. ეხლა ვკითხოთ როგორ ესმის იმპერატორ ვილჰელმის გენერალს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი? ამაზე ის კრინტსაც არ სძრავს და ეს სიჩუმე აშკარათ ამტკიცებს თუ რას ფიქრობს ამის შესახებ გენერალი. გერმანიის მთავარსარდალი ამბობს, თითქოს მას შეუძლია ისეთი გზა გამონახოს რუსეთისთვის ზავის ჩამოსაგდებათ, რომ მან მოკავშირეებთან უთანხმოება არ გამოიწვიოს. ასე ლაპარაკობს ის იმიტომ, რომ კარგათ იცის გერმანიის იმპერატორთან სეპარატიულ ზავის ჩამოგდებას რუსეთის დემოკრატია და რევოლიუციონური ჯარი ზიზღით შეხედავს. კიდევ რა წინადადებას გვაძლევს გერმანელი გენერალი? დროებით ომის შეწყვეტას და აღმოსავლეთ ფრონტის გენერლებთან საიდუმლო მოლაპარაკებას. გერმანელი მთავარსარდალი ამბობს: „სეპარატიული დროებითი ზავი გერმანიისთვის სასარგებლო არ არის“. მართალია ეს? ეგ ამ კითხვაზე პასუხი მოგვცეს თვით გერმანელ გენერლის რადიოტელეგრამამ, რადგან ის ასეთ პროვოკაციას არ მიმართავდა, უკეთუ გერმანიის გენერალურ შტაბს წინდაწინ გეგმა არ შეედგინა დროებით სეპარატიულ ზავის შესახებ. გერმანელი მთავარსარდალი ამბობს, რომ მისი ჯარი ჩვენ ფრონტზე აღარ მოქმედობს. მაგრამ მას დაავიწყდა ის, რაც რუსეთს ახსოვს. მან დაივიწყა სტოხოდი, დაივიწყა ის, რომ რუსეთის ჯარებმა კარგათ იცის სად წაიყვანეს ჩვენი ფრონტიდან გერმანელი დივიზიები და სად გადაიტანეს მძიმე არტილერია. მან დაივიწყა, რომ რუსეთში მოისმის ფრანგ-ინგლისელთა ფრონტიდან ბრძოლის ყიჟინა და აბჯართა ჩხარუნი. იქ სისხლის ღვარი სდის, მან დაივიწყა, რომ რუსეთმა კარგათ იცის მოკავშირეთა განადგურებით რუსეთის ჯარს, რუსეთის თავისუფლებას სამარე გაეთხრება და დაღუპება. გერმანელ გენერლის პროვოკატორულ ხაფანგში რუსეთის დემოკრატია არ გაებმის, მას აქვს თავისი გზა და ამ გზით მიდის ის საყოველთაო ზავისაკენ. ის მოუწოდებს ამ ზავისათვის ყველა მშრომელთ, ყველა დაჩაგრულთ. მისი მოკავშირე არიანამ ბრძოლაში მეგობრები ფრიდრიხ ადლერისა, რომელსაც ავსტრიის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, კარლო ლიბკნეხტი, ლეიდეშური და გაზე, რომლებიც მედგრად იბრძვიან საფრანგეთსა და ინგლისში, და რომლებიც წინააღუდგენ თავ-თავიანთ გაბატონებული კლასების დაპყრობითი პოლიტიკას. რუსეთმა თავს იდვა მსოფლიო იმპერიალიზმის ყველა მებრძოლ სახელმწიფოების დემოკრატიის შეერთება. ამ მიზანს თავის დღეში ვერ მიაღწევს რუსეთი თუ გერმანია შესძლებს მის მოკავშირეებიდან გამოთიშვას და მოკავშირეთა ჯარს დაამარცხებს. რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის შემწეობით გზას იკაფავს საყოველთაო მშვიდობიანობისკენ. ჯარი თავის მედგარ მოქმედებით ძალას მისცემს რუსეთის დემოკრატიის ხმას, როგორც მოკავშირეების წინაშე ისე მოწინააღმდეგეთა. თავისუფალ რუსეთის რევოლიუციონური ჯარი გერმანელთა პროვოკაციულ ანკესზე არ წამოეგება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი ღირსეული პასუხი: „მჭიდროთ შემოკრბით რევოლიუციის დროშის გარშემო, გააორკეცეთ თქვენი ენერგია რუსეთის მებრძოლ ძალის განსამტკიცებლათ. გახსოვდეს რომ რუსეთისთვის ეს ძალა დასაპყრობათ კი არ არის საჭირო, არამედ მისი თავისუფლების დასაცველათ, საყოველთაო მშვიდობიანობისთვის საბრძოლველათ“. ასეთ პასუხს აძლევს რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია ვილჰელმის ცბიერ შინაყმებს“. ეს ბრძანება წაკითხულ იქნას ჯარის ყველა ნაწილში. სამხედრო და საზღვაო მინისტრი კერენსკი.

კომისარი ბოლშევიკი.

მინსკი. ბორისოვსკის კომისარმა ბოლშევიკმა პრაპორშჩიკ ვულფოვიჩმა მიწების შესახებ საკუთარი დადგენილება გამოსცა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება მთავრობის დადგენილებებს. მას გუბერნიის კომისარიატმა მოსთხოვა ამ დადგენილების გაუქმება, მაგრამ უარი განაცხადა—კომისარიატის აზრს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ძალა ჩემ ხელშიაო.

გრიმის რუსეთიდან გაძევება.

პეტროგრადი. დროებითი მთავრობისაგან. ნამდვილ წყაროებიდან დროებითი მთავრობას შეატყობინეს შემდეგი დეპეშა: პოლიტიკურ დეპარტამენტისაგან. ბატონ ოდიეს პეტროგრადში. ბერნი, 5 ივნისი 1917 წ. გენერალური „სოციტნიკი“ გთხოვთ გადაეცით თქვენ სიტყვიერათ აცნობოთ გრიმს შემდეგი: გერმანია რუსეთის ფრონტზე არავითარ მოქმედებას არ დაიწყებს მანამდე, სანამ იმედი იქნება რუსეთთან შეთანხმების. მრავალ გამოჩენილ პირებთან ბაასის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ გერმანიას უნდა რუსეთთან საპატიო ზავი ჩამოაგდოს, დაამყაროს ურთიერთ შორის კომერციულ-ეკონომიური კავშირი, შეუთანხმდეს პოლონეთის, ლიტვის და კურლიანდიის საქმეებში, არავითარ შინაურ საქმეებში გერმანია არ ჩაერიოს, დაუბრუნოს რუსეთს დაპყრობილი ადგილები და რუსეთმა კი ავსტრიის პროვინციები. მე დარწმუნებული ვარ უკეთუ მოკავშირენი და რუსეთი მოისურვებენ გერმანია და მისი მოკავშირენი მზათ არიან ჩამოაგდონ უანექსიო ზავი, რადგან მათ არ სურთ სხვა ქვეყნების დაპყრობა ტერიტორიის გასაფართოებლათ“. ამ დოკუმენტის შესახებ დროებითმა მთავრობამ მინისტრ წერეთელს და სკობელევს მოსთხოვეთ განმარტება რობერტ გრიმისთვის. პასუხათ გრიმმა შემდეგი განცხადება გადასცა წერეთელს და სკობელევს: 1) ჩემი წასვლის წინათ მინისტრებმა წერეთელმა და სკობელევმა შემატყობინეს თითქოს შვეიცარიის ელჩს ბერლინიდან დეპეშა მიეღოს, რომლითაცა ავალებენ მას შემატყობინონ მე გერმანიის ზოგიერთი სამშვიდობო განზრახვები. ვაცხადებ, რომ ასეთ წინადადებით არც პირდაპირ და არც სხვისი პირით შვეიცარიის ელჩს ჩემთვის არ მოუმართავს. 2) როგორც დეპეშის შინაარსიდან სჩანს გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს ჩემი პეტროგრადში გამოსვლები საერთაშორისო სოციალისტურ კავშირის დასამყარებლათ საყოველთაო ზავის ჩამოსაგდებათ თავის სასარგებლოთ გამოიყენოს სეპარატიულ ზავისთვის, რომლისაკენაც ის მისწრაფვის. ეს არა საკადრისი აქციელია. 3) ჯერ კიდევ ბერლინში, როცა გერმანიის საელჩოში მივედი და პასპორტი წარვადგინე მე არავისთან პოლიტიკური ბაასი არა მქონია, და სტოკჰოლმისკენ მოგზაურობის დროს თავს ვარიდებდი გერმანიის სოციალისტურ პარტიის მეუმრავლესეთა წარმომადგენლებთან ლაპარაკს. 4) რაც შეეხება ამ საქმეში შვეიცარიის მთავრობის მონაწილეობას, ამის შესახებ მაშინ შემიძლია ვთქვა რამე, როცა ადგილობრივ გამოვიკვლევ ხელისმოწერის სინამდვილეს. 5) როგორც ასეთი ზავის სასტიკი მოწინააღმდეგე, რომელსაც სარჩულათ იმპერიალისტური მისწრაფებები უდევს, მე ასეთ განზრახვებს მუდამ გამოვამჟღავნებ. პეტროგრადი 31 მაისი (ახ. სტ. 12 ივნისი) 1917 წ. რობერტ გრიმი“. წერეთელი და სკობელევი ვერ დააკმაყოფილა ამ განმარტებამ. დროებითმა მთავრობამ დაადგინა წინადადება მისცეს რობერტ გრიმს რუსეთიდან გავიდეს. გრიმი უკვე წავიდა.

საფრანგეთის მთავრობის ნოტა.

პეტროგრადი. 31 მაისს საფრანგეთის მინისტრმა ალბერტ ტომამ დროებით მთავრობას გადასცა ნოტა, სადაც აღნიშნულია რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობა შინ და გარეთ, რომ საგარეო ბრძოლაში რუსეთი ცდილობს ჩამოაგდოს საყოველთაო ზავი და დაპყრობითი პოლიტიკის სრულიად წინააღმდეგია. თუ ამ აზრში ჩვენსა და ჩვენ მოკავშირეთა შორის სხვადასხვაობა არ იქნება რუსეთისა და მისი მოკავშირეთა ერთსულოვნობა უზრუნველ ჰყოფს რუსეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრინციპებს. რუსეთის დემოკრატია სიამოვნებით ეგებება იმ მოკავშირეთა გადაწყვეტილებას, რომლებიც თანახმანი არიან გადასინჯონ ომის მიზნის შესახებ შეთანხმება, ამ მიზნით დროებითი მთავრობა წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან კონფერენცია, იმ პირობით, რომ ამ კონფერენციამ არ განიხილოს 1914 წელს 5 სექტემბერს ლონდონში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია და სეპარატიულ ზავს უარს ჰყოფს.

ფოსტა-ტელეგრაფის ტეხნიკთა ყრილობა.

პეტროგრადი. ფოსტა-ტელეგრაფის ტეხნიკოსთა სრულიად რუსეთის ყრილობამ შეიმუშავა ზომები საზოგადოთ ფოსტა-ტელეგრაფის საქმის გასაუმჯობესებლათ. ყრილობამ სასურველათ სცნო დაარსდეს ფოსტა-ტელეგრაფის დაბალი სკოლები და სპეციალური სატელეგრაფო ინსტიტუტი.

განმარტება.

პეტროგრადი. სამობილიზაციო განყოფილება განმარტავს, რომ სამხედრო სამსახურიდან 43 წლიანების დათხოვნის შესახებ განკარგულება ვრცელდება ოფიცრებსა და სამხედრო მოხელეებზე.

საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ რეზოლიუცია.

პეტროგრადი. სახელმწიფო დუმის წევრთა კერძო თათბირზე საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ მილიუკოვის, მაკლაკოვის და ბუბლიკოვის და სხ. სიტყვების შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომ რუსეთთან სეპარატიულ ზავის ჩამოგდებით გერმანია სავსებით მიაღწევს თავის მიზანს. ეს ზავი რუსეთს ჩამოაშორებს დანარჩენ ევროპას და წ ურეცხელ ჩირქს მოსცხებს მას. ახეთ საშიშ დროს სახელმწიფო დუმის წევრთა ვალია მოაგონოს მთელ რუსეთს, უმეტესათ ჯარს, რომ ხსნა მათ ხელშია, მტკიცეთ უნდა შეასრულონ საერთო საქვეყნო საქმე, გერმანელთა ყმები ა გავხდეთ. სახელმწიფო დუმა სცნობ რომ ომის გათავება შეიძლება მხოლოდ დაუყონებლივ შეტევით და მოკავშირეებთან ერთსულოვან მოქმედებით.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის ყრილობა.

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობა გაიხსნა 2 ივნისს კადეტის კორპუსში. დაესწრო 800 კაცი. როცა ჩხეიძე მისალმების სიტყვას ამბობდა დარბაზში შემოვიდენ წერეთელი, სკობელევი და კერენსკი, რომლებსაც დიდი ოვაცია გაუმართეს. ყრილობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ჩხეიძე. აბრამოვიჩმა შეკითხვა შეიტანა ციმერვალდის კონფერენციის თავმჯდომარე შვეიცარიელ სოციალისტის გრიმის რუსეთიდან გაძევების შესახებ. წერეთლის მოთხოვნით ყრილობამ დაადგინა დაუყონებლივ განიხილოს შეკითხვა. შეკითხვას არსებითათ ეხება მარკოვი, რომელიც წერეთელსა, სკობელევის და გრიმის შორის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა და სასტიკი წინააღმდეგი იყო გრიმის გაძევების. წერეთელმა განმარტა, რომ გრიმმა არ მოისურვა კატეგორიული პროტესტი განეცხადებინა იმ ბრალდების წინააღმდეგ, რომ ის რუსეთში სრულიად დამოუკიდებლათ არ მოქმედობდა. კამათის შემდეგ 640 ხმით წინააღმდეგ 121 ბოლშევიკების და ინტერნაციონალისტების ხმისა (14 თავი დაიჭირა) მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ წერეთელის და სკობელევის მოქმედება გრიმის საქმეში რუსეთის რევოლიუციის და საერთაშორისო სოციალიზმის ინტერესებს სრულიად ეთანხმება, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობა სიამოვნებით ეგებება მათ გადაწყვეტილებას გამოაქვეყნონ ამ საქმის შესახებ დაწვრილებითი ცნობები, კერძოთ ის მოტივები, რომლებმაც საბუთი მისცეს მათ არ დაკმაყოფილებულიყვნენ გრიმის განმარტებით“.

პოლონეთის არმიის შედგენის წინააღმდეგ.

დონის როსტოვი. პოლონეთის და ლიტვის ს.-დემოკრატიამ საზოგადო კრებაზე გამოიტანეს რეზოლიუცია, პოლონეთის განსაკუთრებულ არმიის შედგენის წინააღმდეგ.

საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ.

ხარკოვი. სამხრეთ რკინის გზის მოძრა ბის დელეგატთა ყრილობამ ერთხმათ დაადგინა წინააღუდგეს სრულიად რუსეთის რკინის გზის გაფიცვას, რადგან ეს ძირს გამოუთხრის რევოლიუციას.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 4 ივნისი. სტანისლავოვის სამხრეთ-დასავლეთით, ლისეცის რაიონში ჩვენი მზვერავი რაზმები მტრის საყარაულოს თავს დაესხნენ და იქ მყოფი ჯარის კა გაფანტეს.

რუმინიისა და კავკასიის ფრონტზე გამოშვებითი სროლაა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის

ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჯარის ზურგს უკან ყუმბარები ჩაყარეს.

პარიზი. 1 ივნისი. მთელ ფრონტზე საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით სროლა გაცხოველდა კრონის რაიონში.

ბალკანეთში—იტალიისა და საფრანგეთის ფრონტზე შეტაკებები სწარმოებს. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაიკავა ტრიკალა.

ლონდონი. 2 ივნისი. საფრანგეთის ფრონტზე, მდ. მირკომინას მარჯვენა ნაპირზე მთიან, მესინის აღმოსავლეთით მტერი დავამარცხეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ 150 ჯარისკაცი, ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი და და 7 ტყვიისმფრქვეველი. 25 მაისიდან მოყოლებული მტერზე სასტიკი იერიშები მიგვქონდა და ლისასა და ვარნას რაიონებს შუა 11 კილომეტრით წინ წავიწიეთ.

პარიზი. 2 ივნისი. მთელს ღამეს სროლა არ ყოფილა, მხოლოდ იურტებიზა—კრაონის რაიონში ორივე მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ზარბაზნის ყუმბარებს უშენდენ.

ბალკანეთში—მდ. ვარდარის მარჯვენა ნაპირებთან საარტილერიო სროლა დაიწყო.

ლონდონი. 2 ივნისი. ბრიტანიის სამხედრო ფლოტმა მეწამულის ზღვაზე (წითელი ზღვა) სალიფის პორტი დაიკავეს, აქ ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 94 ჯარისკაცი და ხელთ იგდო 2 ზარბაზანი, 3 ტყვის მფრქვეველი და მრავალი საომარი მასალა.

ლონდონი. 3 ივნისი. საფრანგეთის ფრონტზე, ლოოსის აღმოსავლეთით მტერმა სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწია. ჩვენ აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ მრავალი ჯარისკაცი.

დეპეშა.

საკ. კორესპ.

თავრიზი. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით აქ გაიმართა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. მიტინგი მოიწვია კომიტეტმა იმ გმირთა ხსოვნის პატივისცემის აღსანიშნავათ, რომლებიც სპარსეთის რევოლიუციის დროის დაიღუპნენ. ამჟამად რევოლიუციონურმა მოძრაობამ კვლავ იფეთქა სპარსეთში. მიტინგის შემდეგ გაიმართა დიდი მანიფესტაცია. რევოლიუციაში დაღუპულთა საფლავზე მოწყობილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი. წარმოთქვეს სიტყვები სპარსულათ და რუსულათ. დაესწრო აუარებელი ხალხი—თავრიზის მცხოვრებნი და ჯარი.

რაფიელ აცანელი.

ახალი ამბები

სოციალ დემოკრატიული ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი. ხვალ, საღამოს 5 საათზე, „ბორბას" რედაქციის ბინაზე (გოლოვინის პროსპ. № 12) შესდგება საქალაქო საარჩევნო ცენტრალური სოც.-დემოკრატიული კომიტეტის კრება. წინადადება ეძლევა საუბნო ყველა კომიტეტებს აუცილებლათ გამოუგზავნონ ამ კრებაზე დასასწრებლათ თავიანთი წარმომადგენლები.

◆ **ქუთაისის საგუბერნიო კომისარი** ჩიქოვანი დეპეშით იტყობინება, რომ 2 ივნისს „ტიფ. ლისტ." მოთავსებული ცნობა, თითქოს ქუთაისი საშიშარ მდგომარეობაში იყოს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ცხოვრება წესიერათ მიმდინარეობს, თუ რომ იმ უმნიშვნელო უწესობას არ მივიღებთ სახეში, რომელიც დეზერტირებმა მოახდინეს.

◆ **ქუთაისის ს. დ. კომიტეტთან** დაარსებული წითელი ლიტერატურის გამომცემელი წრე სთხოვს თფილისის ასეთსავე წრეს წინასწარ გამოაცხადოს „ერთობის" შეწყობით რომელი წიგნის გამოცემას აპირებს, რომ ერთსა და იგივე დროს არ იყოს გამოცემული ერთი და იმავე წიგნი.

◆ **თფილისში არსებულ ნავთის საწყობების მუშებსა და პატრონებს შორის** შემდგარმა მომრიგებელმა „კამერამ" განიხილა მუშების მოთხოვნილებები. ორივე მხარენი შეთანხმდენ.

◆ **შეერთებული კრება** მესამე და მეოთხე უბნების სოც.-დემოკრატებისა დანიშნულია ქალაქის პირველ გიმნაზიაში (ლორის მელიქოვის ქ.) დღეს, 6 ივნისს, საღამოს 6 საათზე. კრება აირჩევს საარჩევნო კომიტეტებს. ამხანაგებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ და თან იქონიონ საწევრო კვიტანცია ან ბილეთი.

◆ **თფ. რაიონის მებაღე მებოსტნეთა კრება** დანიშნულია ქალაქის პარკში ხვალ დილით 8 საათზე. კრება განიხილავს ნობათის (საჩუქრის) საკითხს. დღემდე მუშების ვალდებულობას შეადგენდა ბაღების პატრონებისათვის საჩუქრის მირთმევა. კრება დაამტკიცებს „კამერის" ამორჩეულ წევრებს, მსჯელობას იქონიებს იმ წევრების შესახებ, რომლებიც თანამდებობას პირნათლად არ ასრულებენ და ზომებს გამოიმუშავებს იმათ წინააღმდეგ, რომლებიც „კამერის" დადგენილებებს არ ემორჩილებიან.

◆ **საოლქო კომიტეტის სახარგებლოთ** ამხანაგ იოსებ ყაჭეიშვილისაგან მივიღეთ მის მიერ ჯულფა ბაქოს და თავრიზის რკინის გზაზე შეგროვილი 613 მ. 50 კაპ.; უადგილობის გამო შემომწირველთა სიას გაზეთში ვერ ვბეჭდავთ.

◆ **საბურთალოს მცხოვრებთა კრება** შესდგა 1 ივნისს ადგილობრივ თეატრის დარბაზში. კრებამ იმსჯელა იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ მოუხდათ გაბაშვილების კუთვნილ საბალახოზე. ამ უთანხმოების გამოსარკვევათ კრებამ აირჩია 5 პირისაგან შემდგარი კომისია. შემდეგ შეეხო ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა და სასურსათო კომისიის მოქმედებას. ამ ორი დაწესებულებათა წარსული მოქმედების გამოსარკვევათ კრებამ აირჩია კომისია 9 კაცისაგან შემდგარი.

◆ **სომხურ დრამატიულ საზოგადოებას** თანახმად მის მიერ აღძრულ შუამდგომლობისა, საცენზურო კომიტეტიდან მიეცა ყველა სომხური ხელნაწერები, რომლებიც ცენზურის მიერ დაკავებული იყო.

◆ **ქართველ ხელოვან მწერალთა კრება.** 4 ივნისს ტფ. თავად-აზნაურობის ბანკის დარბაზში შესდგა ქართველ ხელოვან მწერალთა კრება, რომელზედაც მსჯელობა იქონიეს ქართველ ხელოვან მწერალთა პროფესიონალური კავშირის დაარსებისა, მწერლების პერიოდული, სიტყვაკაზმულ ჟურნალის გამოცემის და ქართველ ხელოვან მწერალთა ყრილობის მოწვევის შესახებ. კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, ზემოდ მოხსენებულ საკითხების მოსაგვარებლად. კომისიაში შედიან: ვ. რუხაძე, ლეო ქიაჩელი, შ. დადიანი, დ. ლიხელი და კ. აბაშისპირელი.

◆ **ზემელხა და მის მუშებს შორის** ჩამოვარდნილი უთანხმოების შესახებ მოხდა შეთანხმება. მუშათა ყველა მოთხოვნილებები იქნა დაკმაყოფილებული.

◆ **ყველა უბნის სასურსათო კომიტეტების** წევრთა შეერთებული კრება მოხდება დღეს, სალ. 6 საათ. „კრუჟოკის" საზამთრო შენობაში.

◆ **თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის** კანცელარია გადადის ყოფილ გუბერნატორის მანდრიკას ბინაზე. იმ ბინაზე, სადაც დღემდე აღმასრულებელი კომიტეტი იყო, მოთავსდება კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების ცენტრალური საბჭო.

◆ **საგანგებო საგამომძიებლო კომისიამ** დაადგინა განთავისუფლოს ციხიდან ციხის ინსპექტორათ ნამყოფი რემინტოვსკი. მას ხელწერილს ჩამოართმევენ, რათა ქალაქიდან არ წავიდეს. საქმის გამოძიება მის შესახებ იწარმოებს.

◆ **ნაძალადევის სამკითხველოს** სასარგებლოთ 11 ივნისს სამკითხველოს გამგეობა მართავს სალიტერატურო საღამოს. საღამო გაიმართება ნაძალადევის თეატრის შენობაში. მონაწილეობას მიიღებენ: ლ. ნათაძე, რუხაძე, ქიქოშვილი და თაგუნა.

◆ **ოტელლოს** ხვალ სახალხო სახლში ქართული დასის მსახიობნი წარმოადგენენ. ოტელლოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.

◆ **თ. კიკვაძის ლექცია.** ივნისის 4, ნაძალადევის სახალხო თეატრში, საქონლის სადგურის მოსამსახურეთა და მუშების კრებაზე, ამხ. თ. კიკვაძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „სოც.-დემოკრ. პროგრამის ახსნა" თეატრი სავსე იყო ხალხით. 8 ივნისს ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურ სადგომში თ. კიკვაძე წაიკითხავს ლექციას, თემა: „პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი". ლექციაზე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გარდა, სხვებსაც შეუძლია დასწრება. დაიწყება საღამოს 7 ნახ საათზე.

◆ **სერგო ყორღოლიანი** პეტროგრადიდან დეპეშით გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის ამ ახლო ხანში პეტროგრადს თავს ანებებს—გადმოჰყავთ თფილისში. ამიტომ სთხოვს ამხანაგებს ნურაფერს საქმეს პეტროგრადში გასაკეთებლათ მას ნუღარ დაავალებენ.

◆ **წმინდა ნიკოლოზის სამრევლო სკოლის** შენობაში კვირას 4 ივნისს ა. კალანდაძის თავმჯდომარეობით შესდგა 8 და 9 უბნის წვრილ ვაჭართა კავშირის რაიონული კომიტეტის ასარჩევათ. აირჩიეს: არმენაკ მელქუმოვი, ოგანეს მიკირტუმოვი, მურად ავეტისოვი, მელქო სიმონოვი, სიკო თუთალაშვილი, მამედ ასად ოღლი, ალექსანდრე დოლაბეგოვი, სანდრო ფარსადანოვი, მიხელ ლუარსაბოვი, ვასილ გოგლიძე და იაგორ ულაზოვი.

◆ **მზარეულთა მოთხოვნილებანი.** თფილისის კლუბების, რესტორნების, სასადილოების, ყავახანების და სხ. მზარეულებმა 24 მაისს საერთო კრებაზე შემდეგი მოთხოვნილებები შეიმუშავეს: რვა საათის სამუშაო დღე; ზედმეტ მუშაობისთვის სამზარეულოში მომუშავეთ ორმაგი ფასი უნდა ეძლეოდეთ; რაც ამდენხანს მუშებს სამზარეულოდან ეძლეოდათ, ის ძალაში რჩება; ამას გარდა, ვისაც 10 დან ას მანეთამდე ჯამაგირი ეძლევა ბინა პატრონების ხარჯზე უნდა მიეცეს მათ. ტანისამოსი და აგრეთვე სამზარეულოში სამუშაო იარაღები დანებით მუშებს მეპატრონეთა ხარჯით უნდა ეძლეოდეს; მოისპოს ყოველგვარი არაპირდაპირი მოვალეობის ასრულება, რასაც დღემდე სამზარეულოში მომუშავე ბავშვები ასრულებდენ როგორიცაა: სურსათის, ჭურჭლების წაღება-წამოღება და სხვ.; ავათმყოფობის დროს, გარდა ვენერიულისა, მუშებს ეძლევა ერთი თვის ჯამაგირი და წამლობა ადგილის შენახვით; მუშების მიღება და დათხოვა მუშების უფლებას შეადგენდეს; თუ დაწესებულებაში მომუშავეთა რიცხვი 20 კაცს აღემატება, იმ შემთხვევაში პატრონი ვალდებულია მათი სადილის მოსამზადებლათ დაიქირაოს საგანგებოთ მზარეული; ერთი წლის მუშაობის შემდეგ მუშას ეძლევა ერთი თვე დასასვენებლათ ჯამაგირის შენახვით; უმიზეზოთ დათხოვნისათვის და აგრეთვე საწარმოვოს დახურვის დროს მუშას ეძლევა სამი თვის ჯამაგირი; გაფიცვის დროს მუშებს ეძლევა ჯამაგირი სრულიათ და აგრეთვე, ხარჯის ფული. სამზარეულოში აუცილებლათ უნდა დაიკიდოს სწორი საათი.

კრებები და მიტინგები.

— ოთხშაბათს, 7 ივნისს, მეოთხე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კლუბში (ლორის მელიქოვის ქუჩა, პირველ საქალებო გიმნაზიაში) საღამოს 6 საათზე დანიშნულია მეორე სამილიციო უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა კრება, საუბნო საარჩევნო კომიტეტის ასარჩევათ. ამხანაგებს ვსთხოვთ უსათუოთ დაესწრონ.

— ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე მოხდება მეცხრე უბნის ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება. ტურგენევის ქუჩაზე, მესამე მომრიგებელ სასამართლოს შენობაში. ლექციას წაიკითხავს თ. კიკვაძე არჩევნების შესახებ. იქვე შეიძლება წევრთა მიღება.

— დღეს, საღამოს 8 საათზე საეტაპო სატრანსპორტო სალდათების კრებაა (გოლოვინის პროსპ. № 6) თემა: „კრონშტადტში მომხდარი ამბები და საქალაქო არჩევნები".

— დღეს, საღამოს 6 საათზე, თფილისის სადგურის ვაგონების პარკში მუშათა კრებაა. „საქალაქო არჩევნები".

— 5 საათზე საღამოს სალდათების კრებაა შტაბში.

— საღამოს 6 ს. დიდუბის სარკინიგზო სკოლაში მოქალაქეთა კრებაა. თემა რუსულად: „საქალაქო არჩევნები".

— დილის 10 საათზე მე-25 სამხედრო სასანიტარო სასაპალნე ტრანსპორტის სალდათების კრება. თემა: „დისციპლინა ჯარში" და საქალაქო არჩევნები".

პროვინციის ქრონიკა.

მეჯვრისხევის რაიონი. (გორის მაზრა). სოფ. მეჯვრისხევში მრევლმა გადააყენა მღვდელი სიით გამრეკელი და მის მაგიერ ამოირჩია მღ. ილიკო ხაჩუტაშვილი.

— მეჯვრისხევის რაიონის კომიტეტმა აკრძალა ამ რაიონის სოფლის დუქნებში ღვინით ვაჭრობა. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, პირველათ დაჯარიმდება 25 მან., მეორეთ 50 მან., მესამეთ 100 მან. და მეოთხეთ კი—სავსებით აეკრძალება ვაჭრობა.

— 26 აპრილს ახალ-სოფელში დათიკო მარღიშვილის ოჯახს დაეცა ორი უცნობი პირი და გაძარცვეს; დაახლოვებით 800 მანეთამდე ფული და ქონება წაიღეს, მაგრამ ადმინისტრაციის ენერგიული ზომების წყალობით ერთი ყაჩაღთაგანი დაატყვევეს, სახელდობრ—არტემ გაბიშვილი (ყოფილი „ტრაჟნიკი"), რომელიც გადაეცა გორის გამომძიებელს.

— მეჯვრისხევის საზოგადოების აღმასრულებელმა კომიტეტმა ადმინისტრატიულათ ერთი თვით გორის ციხეში ჩასვა ზენო ბოლათაშვილი ძმის ხანჯლით დაჭრის გამო.

ს. ბახვი. ბახვის საზოგადოებაში შესდგა ერთი ჯგუფი, რომელმაც მიზნათ დაისახა სახალხო სახლის აგება. ამ ჯგუფის ინიციატორობით მოწვეულ იქნა ამ საზოგადოების ყველა სოფლის საზოგადო საქმით დაინტერესებულ პირთა კრება. კრებამ აუცილებელ საჭიროთ აღიარა ბახვში სახალხო სახლის აგება და აირჩია გამგეობა. გამგეობა შეუდგა მუშაობას. ის ცდილობს სახალხო სახლის იდეა პოპულიარული გახადოს ხალხში, რათა თვითონ ხალხმა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს. სახალხო სახლის ფონდისთვის გამგეობას უკვე გადაეცა მაისში მოწაფეთა მიერ სამი წარმოდგენიდან დარჩენილი წმინდა შემოსავალი 400 მანეთი.

ხად. ჯუმათი. 29 მაისს ს. ჯურუყვეთში მილიციის უფროსმა დაიჭირა და ოზურგეთში წაიყვანა შავ რაზმელთა მეთაური ცნობილი ჯაშუში მიხეილ ანთაძე. ეს ის ცნობილი მიხეილ ანთაძეა, რომელიც ტალმაზოვ-მიქიაშვილის, ზაჯუსოვ-ქართველიშვილის დროს მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ხალხის დარბევა აწიოკებაში.

სოფ. ოსიაური 28 მაისს სოფ. ოსიაურში თ-დ ლეონიძის სახლში ასეთი უბედურება მოხდა: ბიძაშვილები გიმნაზიის მოწაფე სოლომონ ლეონიძე და თფილისის კადეტის კორპუსის მოწაფე სიმონ ლეონიძე თოფს შინჯავდნენ. უცბათ გავარდა თოფი და მოხვდა სიმონ ლეონიძეს მკერდში. საბრალომ სიტყვის ამოღებაც კი ვერ მოახერხა ისე დალია სული.

ბაქო. 22 მაისს რკინის გზის სოც. დემ. პარ. რაიონულ კომიტეტის მიერ რკინის გზის სკოლაში მოწვეულმა ისიდორე რამიშვილმა თანამედროვე მომენტზე წაიკითხა ლექცია. აუდიტორია ხალხით გაჭედილი იყო. ლექცია როგორც ყოველთვის შინაარსიანი გამოდგა. განუსაზღვრელია ისიდორესადმი სიყვარული აქაურ მშრომელ მასაში განურჩევლად ეროვნებისა. ილაპარაკა ბიდერის შესახებ და საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანეს.

ხამტრედია. კვირას 21 მაისს სოფ ნაფალიაურში სოც. დემ. მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოხდა ყრილობა. ყრილობაზე გადაწყდა დაარსებიათ სამკითხველო. აირჩიეს კომისია ადოლარ ქანდარია, იუსტინა დუნდუა, ქეთო დუნდუა, ნინა დუნდუა, ნიკო დუნდუა. კომისია იქვე შეუდგა მუშაობას. ბევრმა შეიტანა თავისი წვლილი. ნოე ქეჩხიძე ხაბეიშვილმა შეიწირა დროებით ადგილი შენობისთვის, საჭიროა დახმარება.

ბახილეთის უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ, 14 მაისს გამგეობამ გამართა საღამო. გამართულმა საღამომ ხარჯების გარიცხვით წმინდა შემოსავალი დაუტოვა სამკითხველოს 165 მანეთი.

სოფ. ქვალონი (ზუგდიდის მაზრა). მიუხედავათ იმისა, რომ აკრძალულია თამაში, და ღვინის გაყიდვა ბაზარში, მაინც ხშირათ შეხვდებით ისეთებს, რომლებიც წესებს არღვევენ.

— ორშაბათს, 22 მაისს აქ გაიმართა კრება კოოპერატიული დუქნის წევრებისა. დაესწრო 70-მდე კაცი. კრებას დაესწრო აგრეთვე ინსტრუქტორი ალექსანდრე ლომია. მან აუხსნა კრებას თუ როგორ უნდა მოეწყოს კოოპერატივის წარმოება. ბოლოს აირჩიეს გამგეობა და სარევიზიო კომისია.

საზღვარ გარეთ.

ჩეხელ სოციალისტებს პასპორტებს არ აძლევენ. ჩეხელთა გაზეთი „პრავა ნაროდა" იტყობინება, რომ სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასასწრებლათ ჩეხელ სოციალ-დემოკრატ სეპარატისტ დელეგატებს პასპორტებს ჯერაც არ აძლევენ.

— **სტოკჰოლმის კომიტეტის დეპეშა წერეთელს და აქსელროდს** ჰოლლანდია-სკანდინავიის კომიტეტმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა წერეთელს და აქსელროდს: „ბედნიერათ ვსთვლით თავს გაცნობოთ, რომ ჰოლლანდია-სკანდინავიის კომიტეტის მიერ ნაკისრი საქმე კეთილათ დაგვირგვინდა, ყველა სოციალისტურ და მუშათა პარტიები, რომლებიც ინტერნაციონალს ეკუთვნიან—ჩვენს ინიციატივას მიემხრენ და ეს აშკარათ ამტკიცებს რამდენათ მართალი ვიყავით ჩვენ, როცა წინადადებით მივმართეთ მუშათა კლასში ერთგვარი საერთაშორისო პოლიტიკის განსამტკიცებლათ წინასწარი რამოდენიმე კონფერენცია მოგვეხდინა, სადაც მოხდა საბოლოოთ შეთანხმება. ჩვენი საქმის სრული გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე უთანხმოება არ მოხდეს უბრალო სიფრთხილე მოითხოვს, რომ კონფერენცია ნეიტრალურ სახელმწიფოს რომელიმე ქალაქში მოხდეს. თუ თქვენი დელეგატები ჩქარა მოვლენ სტოკჰოლმში ჩვენ კიდევ მრავალ გადაუჭრელ კითხვებს გავარჩევთ და საქმეს დავაჩქარებთ.

ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ დიდ დახმარებას გაგვიწევთ ამ საქმეში. ჩვენ დიდათ დავალებული ვიქნებით თუ ჩვენ გულწრფელ სალამს გადასცემთ ჩვენ პარტიულ რუს ამხანაგებს. ამასთანავე ჩვენი შიკრიკის ხელით გეგზავნით ორ ადრესს: ერთს იტალიის სოციალისტურ პარტიის და მეორეს ბოსნიის და ჰერცოგოვინის სოციალისტების".

— **ლიდსკის კონგრესი.** ლიდსკის კონგრესს დაესწრო ათასი დელეგატი, მათ რიცხვში ასი ქალი. ესტრადის ზემოთ ფრიალებდა დიდი დროშა ზედ წარწერით: „**გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს**". თავმჯდომარეობდა სამთო სამადნო მუშათა წარმომადგენელი სმილლი. კონგრესს დაესწრო პარლამენტის წევრები რობსნი მაკდონალდი, სნოუდენი და ანდერსენი. კონგრესმა პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსაგან მისალმების დეპეშა მიიღო. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც რუსეთის რევოლიუციას სალამს უძღვნიან და აცხადებენ, რომ კონგრესი მხარს უჭერს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავს, მოითხოვს ბეჭდვითი სიტყვის სრულ თავისუფლებას და მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს დაარსებას, რომლის მოქმედება მიმართული იქნება საყოველთაო ზავის ჩამოგდებისაკენ. პეტროგრადში გაგზავნეს დეპეშა, რომლითაც აცხადებენ, რომ კონგრესი უერთდება პეტროგრადის სოციალისტთა დეკლარაციას საგარეო პოლიტიკის საქმეში.

— **ინგლისის გამოჩენილ პუბლიცისტის აზრი პოლიტიკურ მომენტის შესახებ.** ინგლისის გამოჩენილი პუბლიცისტი გარდინერი შემდეგს ამბობს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ: „ინგლისის დემოკრატია გულის ფანცქალით თვალ ყურს ადევნებს რუსეთის რევოლიუციას. **რუსეთის რევოლიუციის საბოლოოთ გამარჯვება, ეს მთელი მსოფლიოს დემოკრატიის გამარჯვებაა—მისი დამარცხება მთელ მსოფლიოზე კაიზერიზმის გამარჯვებაა.** ეჭვს გარეშეა, რომ მთელი ქვეყნის ხალხს მომავალში ერთი ბედი მოელის. მე ასე განვმარტავ ჩემს აზრს: შეიძლება ერთი ერი სრულიად თავისუფალი იყოს იმ დროს, როდესაც მეორე მონობის უღელ ქვეშ იქნება. **მომავალში მთელი მსოფლიო ან სრულიად თავისუფალი იქნება, ან ტირანის სრული მონა.**

უმთავრესი საფრთხე დემოკრატიას მოელის ანარქიისაგან და უმთავრესათ რუსეთს, რომლის გასაძლიერებლად გერმანიის დესპოტიზმი ყოველ ღონეს ხმარობს. მთელი ქვეყანა თავისუფალ ხალხთა საკუთრება იქნება, მაგრამ ამისათვის საჭიროა იგინი მართლა განთავისუფლდენ. თუ ეს ასე მოხდა გამარჯვებაც ჩვენია. **მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი მტრის სიმაგრე ჯერ კიდევ მაგრათ სდგას და ამაყათ დაგვყურებს.** სანამ არ დაინგრევა ეს სიმაგრე, სანამ მართვაგამგეობის გოგენცოლერნთა სისტემას ისეთივე ბედი არ ეწვევა, როგორც რომანოვისას, სანამ გერმანიის ხალხი არ დაამხობს თავის ტირანებს, მანამ ანარქიულ ელემენტების მუშაობა რუსეთში მეტათ საშიშია, რადგან ის დემოკრატიის და რუსეთის მთელ თავისუფლებას სამარეს გაუთხრის.

თავისუფლებას ეხლა მხოლოდ ერთა ერთი მტერი ჰყავს კაიზერი თავის დესპოტიურ სისტემით, რომელიც ჯოჯოხეთურ საშვალებით მოქმედობს. სანამ ეს მექანიზმი იმოქმედებს თავისუფლება ფეხს ვერ მოიკიდებს ვერც რუსეთში, ვერც ინგლისში, ვერც საფრანგეთში და ვერც ვერსად.

თავი არ უნდა მოვიტყუილოთ, რომ გერმანიის გამარჯვებით კაიზერიზმი თავისთავათ დაეცემა, ეს არ მოხდება. ასეთ შემთხვევაში გერმანიის ხალხს მონობის კიდევ უფრო მძიმე უღელი დაედებოდა. **გერმანიის ხალხმა ეხლა უნდა გაიგოს, რომ დაჰკრა იმათმა ისტორიის საათმა. თუ მან ეხლა არ დაგლიჯა მონობის ჯაჭვი ის თავისუფლებას თავის დღეში ვერ ეღირსება.**

მორიგი შეერთებული სხდომა თფ. მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოებისა.

3 ივნისს შესდგა სახალხო სახლში მორიგი შეერთებული სხდომა მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოების წევრთა. თავმჯდომარეობდა ა. ზურაბოვი. პირველად მოხსენება გააკეთა პოლკ. კულიკოვსკიმ ჯარში დისციპლინარული სასამართლოების დაარსების შესახებ. ის როგორც თავმჯდომარე ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებ. კომიტეტის საგამომძიებლო კომისიისა ახსნა-განმარტებას იძლევა სხვადასხვა მუხლების შესახებ სადისციპლინარო სასამართლოების სახელმძღვანელო კანონების შესახებ, რომელიც დამტკიცებული იყო ახალი სამხედრო მინისტრის მიერ. კრებამ მიიღო მოხსენება და დაადგინა: გავრცელებულ იქნას ჯარისკაცთა შორის აღნიშნული საარჩევნო წესდება და როდესაც „გარნიზონის" ჯარისკაცები გაეცნობიან მას, საბჭომ სპეციალური სხდომა მოანდომოს მის განხილვას.

სტოკჰოლმის სოციალისტურ კონფერენციის შესახებ მოხსენება გააკეთა აკაკი ჩხენკელმა. ის ვრცლათ შეეხო ომის საკითხს, განმარტა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მნიშვნელობა და აგრეთვე ერთა თვითგამორკვევა და დასასრულ მიმართა კრებას, რომ ეს კითხვები თუმცა ახალი არ არის ჩვენთვის, მაგრამ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებულ საერთაშორისო დამოკიდებულებათა განყოფილების მიერ ჩვენს წინ ხელ ახლა იქნა წამოყენებული იგიო. საქმე იმაშია, რომ უკეთუ ომის ლიკვიდაცია არ მოხდა მეომარ სახელმწიფოთა შორის რევოლიუციის მეომარ სახელმწიფოებში გადატანის საშვალებით, მაშინ ჩვენ უნდა გვქონდეს ერთგვარი გამომუშავებული გეგმა, რომლის თანახმადაც უნდა ვეცადოთ ომის დასრულება. შემდეგ აღნიშნა სტოკჰოლმის კონფერენციის მნიშვნელობა, როგორც ინტერნაციონალის აღდგენა და ხაზი გაუსვა პეტროგრადის მუშ. და ჯ. კაცთა საბჭოს ნაყოფიერ მუშაობასა და როლს, როგორც აღნიშნულ კონფერენციის მოწვევის ინიციატორის. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მთელმა რიგმა ორატორებისამ, რომელთა შორისაც კუზნეცოვი და ადჟიკანი წინააღმდეგნი არიან კონფერენციაზე მონაწილეობის, რადგანაც რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიის წარმომადგენელნი ვერ ნახავენ იქ რუსეთის რევოლიუციის სრულ თანამგრძნობთ და თანამოაზრეთ. ზურაბოვი, მაისურაძე, გუჯენკო და სხვანი იცავენ იმ რეზოლიუციას, რომელიც აღმასრულებელმა კომიტეტმა წარუდგინა კრებას.

დასასრულ ვრცელ და შინაარსიან სიტყვას ამბობს მომხსენებელი აკ. ჩხენკელი. ის აღნიშნავს გერმანიისა და სხვა დასავლეთ სახელმწიფოთა სოციალდემოკრატიულ და სხვა სოციალისტურ პარტიათა აქტიურ მუშაობას რუსეთის დემოკრატიის მიერ წამოყენებულ პირობებში ზავის ჩამოგდებას უანექსიო და უკონტრიბუციოთ და მოუწოდებს კრებას ერთხმათ მიიღონ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა 76 ხმის ნაღმდეგ.

ქალებისადმი.

(დასასრული).

ეს ცოტაა. ყველგან ევროპაში სოციალისტური პარტიები თხოულობენ ქალთა პოლიტიკურ უფლებებს, მაგრამ ჯერ არც ერთ პარტიას არ მოუპოვებია პარტიებში ყოფნა ქალების, მათთან საერთო მოთხოვნილებათათვის ბრძოლა თავის თავათ ცხადია, საჭიროა, მაგრამ პარტიის გარეშე დგას ამდენი საკითხი, რომლებიც ქალებს ეხებიან, მათ ვე ვერ გადასწყვეტს, ქალების მეტი. აი ამ

თვის—საჭიროა არა სხვის ყურება, არა სხვებზე იმედების დამყარება, არამედ თვით ქალებისაგან ქალების ბედის შედგა. რომ ქალებს პარტიის გარეშე, საერთო კითხვებს გარეშე სხვა არა ქონდეთ რა, მაშინ „ქალთა საკითხი“ როგორც ეგეთი არ იქნებოდა თვით ცხოვრებისაგან წამოყენებული. ეს არ არის, ერთი ან ორი ქალის შექმნილი ფანტაზია, არამედ მთელი სქესის საკითხი. და აი რამდენათ არსებობს ეს ქალთა საკითხი, იმდენათ უნდა მას გადაწყვეტა.

მე ვამბობ, კიდევაც რომ მოგვცეს ბურჟუაზიულმა მთავრობამ უფლება დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღებისა და მე მგონია, რომ მოგვცემენ, ვინაიდან ეს ერთსულოვნათ იქნება მოთხოვნილი ქალებისგან და ყველა პარტიისგან, მაინც არ წყვეტს ეს ქალთა საკითხს სავსებით. ამიტომ ქალი პირველათ უნდა გამოვიდეს იმ როლში, რასაც მამაკაცი ასრულებდა აქამდის. ჯერ ჯერობით და დიდხანს კიდევ ქალები ვერ შეეჩვევიან ამ როლს ამისათვის საჭიროა ახსნა, განმარტება, გაგება თავის უფლებისა. განსაკუთრებით სოფელში ეს ძალიან გაჭირდება. აი ამ საქმეში გვჭირია ქალებს ამ ჟამათ შრომა. ქალი უნდა შეეჩვიოს თავის „მე“-ს პატივისცემას, ის უნდა შეეჩვიოს ძალდაუტანებლათ მოქმედებას, ის უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ ის სრულუფლებიანი მოქალაქეა და მას შეუძლია ის აირჩიოს, ვინც უფრო კარგია სოფლისთვის და საზოგადოებისთვის.

აი ამ ჟამათ აქეთკენ უნდა იქნას მიქცეული თვალ-ყური ჩვენი შეგნებული ქალებისა სოფლად და ქალაქად. მუშა ქალი დღეს უნდა გამოვიდეს თავის დამცველი, თავის პიროვნების და შრომის. ამისათვის საჭიროა ქალებმა ყველგან მოაწყონ მჭიდრო ორგანიზაციები, და შეუდგნენ იმ კითხვების განხილვას, რასაც ითხოვს ჩვენგან პასუხს და მონაწილეობას. საჭირო რომ გაიმართოს მასიური მიტინგები ამ არჩევნების გასაგებათ და გამოსაყენებლათ. და, ნუ გადაწყდება ნურავითარი კითხვა უქალებოთ სახელმწიფოებრივი საკითხი. ვინ შეუძლია გადაწყვიტოს ერთგვარი საკითხი უქალებოთ, ვინ შეუძლია მიწის საკითხი უქალებოთ გადასწყვიტოს. განა ქალები არა ფლობენ მიწას, განა ქალები არ არიან სოფლად უმიწო წყლონი. და აი ჩვენ უნდა ჩავერიოთ საერთო საქმეში. საზოგადოებრივი აზრი ცალმხრივი არ უნდა იყოს და იქნება კი ის, თუ ქალები არ მიიღებენ მაში მონაწილეობას. ტყუილია ის ხმები, თითქოს არ გვყავდეს შეგნებული ქალები, რომლებიც არ იყვნენ ღირსი საერთო საქმეში ჩარევისა.

ჩვენთვის ბევრი რამ არის გამოურკვეველი, ბევრი რამ არის ბუნდოვანი ცხოვრება კი საქმეს გვთხოვს უკვე.

აი ამისათვის მე მოგიწოდებთ თქვენ ქალებს შეკავშირდეთ არა მარტო ვიწრო წრეში, არამედ ფართო ორგანიზაციებათ, მოაწყოთ სწრაფი დაკვირვებული მუშაობა საერთო ქალთა საკითხის გასაშუქებლათ და მის ცხოვრებაში გასატარებლათ. ემზადეთ არჩევნებისათვის, როგორც სოფლად ისე ქალაქებში. ნუ დაკარგავთ ნურც ერთ ხმას, მხნეთ, გამბედავათ წარსდეგით ცხოვრების წინაშე და დაიცავით თქვენი უფლება. შორს არაა ის დრო, რაცა ჩამოკრავს ზარი ხალხთა სრულ თავისუფლებისა. იქ მაშინ არ იქნება ქალი და კაცი, არამედ იქნება თავისუფალი ადამიანი. და აი ამისთვის უნდა ვიშრომოთ ეხლა საერთო და რთულ კითხვების გასარჩევათ და საერთო მოქმედების გეგმის შესამუშავებლათ. უნდა მოვიწვიოთ აუცილებლათ საერთო ყრილობა ქალთა. ან „ქალთა კონგრესი“, სადაც ყველა ქალი, კავკასიის მთელ სივრცეზე გაბნეულები, გაეცნობიან საერთო ტკივილებს და საერთო ძალით შეუდგებიან მის განკურნებას. საჭირო რომ ამ ყრილობამ გადასწყვიტოს მრავალი საჭირბოროტო კითხვები, რომლებიც ყველა ეროვნების ქალს ერთნაირად გაუადვილებს არჩეულ მიზნისკენ სიარულს.

ამხ. და მოქალაქენო! დე ჩვენც ვთქვათ ის, რაც აქამდის ვერა ვსთქვით, დე ჩვენც შევდგათ ფეხი შეგნებულათ ახალ ცხოვრებაში.

თამარა გოგოლაშვილი.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

საჭამიას ხერი (საჯავახოს მხარე).

28 მაისს დილით საჭამიას სერზე მოხდა რაიონული კოლექტივის კრება. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ლ. ყენია. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1. ხარჯ-აღრიცხვა. 2. საბჭოს დაარსება. 3. ს. დ. პრესის ბიუროს დაარსება. 4. ფონდი პარტიულ სტამბისთვის. 5. ქალთა წრეების დაარსება. კრებამ სასურველათ სცნო და ერთ ხმათ მიიღო რომ ადგილობრივათ დაარსდეს ს.-დ. სარაიონო საბჭო. კოლექტივი სურვილს გამოსთქვამს ხელი შეუწყოს პარტიული სტამბის შეძენას. შესდგა ს.-დ. პრესის ბიურო. ბიუროში შედიან ამხ. ს. რამიშვილი, ლ. ყენია, ვ. ყენია და არკ. ხუნდაძე. ქალთა წრეების დაარსებას და მეცადინეობის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაავალა თითეულ კოლექტივებს თავ-თავიანთ სოფლებში, სადაც კი არის მოწყობილი ქალთა წრე, მოაწყოს და გაანაწილონ მცოდნე პირი სამეცადინოთ.

ს. აცანა (გურია).

28 მაისს ს. აცანას მოხდა ს.-დ. კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეული იქნა აკაკი თედორაძე, მდივნათ მ. კოლუაშვილი. კრებას დაესწრო 162 პარტიის წევრი, კრების მიზანი იყო დელეგატის არჩევა გლეხთა ყრილობაზე დასასწრებლათ. ფარული კენჭის ყრით აირჩიეს ბიჭიკო ჩხაიძე. პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლათ ანეტა ჩხაიძე და ოქროპირ გამ. ჩხაიძე. ეგნატე ნინოშვილის სახელობაზე გახსნილ სამკითხველოს, რომელიც გაიხსნა ს. ჩიბათში კრებამ სავალდებულოთ მიიღო დახმარება გაუწიოს ამ სამკითხველოს. ამ კრებაზე პასუხისმგებელ კორესპონდენტათ აირჩიეს მ. კოლუაშვილი აგრეთვე აირჩიეს სახალხო თეატრის კომიტეტი: შუშანა ჩხაიძე, გიორგი ხოსიას ძე ჩხაიძე, მღ. მავრი ტუსკია, რაფიელ ჩხაიძე და აკაკი თედორაძე.

Lisgordeli.

მუშათა ცხოვრება.

თფილისის ეპარქიალურ სასწავლებლის მუშათა შორის. ჩვენ შვიდი კაცი, რომლებიც თფილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ვემსახურობდით ამავე სასწავლებლის კომიტეტის დადგენილებით უმიზეზოთ ადგილებიდან დაგვითხოვეს და ულტიმატუმოთ დაგვარიცხეს. მაშინ ჩვენ ვთხოვეთ, რომ ზაფხულის ჯამაგირი მაინც დაეტოვებიათ, მაგრამ ამაზე უარი გვითხრეს. შემდეგ ვთხოვეთ სამი თვის ჯამაგირი მაინც მოეცათ, მაგრამ ბოლოს ამ თხოვნაზედაც უარი გვითხრეს. საჭიროა პროფესიონალური კავშირის ბიურომ დასახელებულ სასწავლებლის ასეთ თავგასულ მოქმედებას ყურადღება მიაქციოს და მუშების ინტერესების ფარგლებში გამოსთქვას შესაფერი მსჯავრი ამასთან. **გიორგი ნუკრაძე.**

თფილისი. დურგალთა შორის. თოთხმეტ მაისს მოეწყო თფილისის დურგალთა კავშირი. აირჩიეს გამგეობაში 7 წევრი, სარევიზიო კომისიაში 3 და მათი კანდიდატები. ბიურო მოთავსდეს პეტრე დიდის ქუჩაზე № 18 შ. ჯერჯერობით წევრათ მიღებულია ასზე მეტი კაცი. ამ დღეებში მოხდება კიდევ საერთო კრება და წევრთა მიღება. კრების დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. შეიძლება დურგლებს და სხვა ხელოსნებს: კალატოზებს, ახალტურებს, ფანჩიკებს [illegible] მიიჩნიოს კავშირი და ფიქრობდეს: [illegible] ხელს მოგვცემს ქარხნების მუშების [illegible], რადგანაც ისინი ერთს ადგილას არიან [illegible] და სხვა მდგომარეობაში არიან [illegible] ჩვენო. ისინი სარგებლობენ უფასო ბინით, ექიმით, წამლით და სხვა საშუალებით [illegible] მუშა ხელოსნები ყველანი კი მოკლებულნი ვართ ამგვარ დახმარებას. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენთვის უფრო საჭიროა ყოფილა პროფესიონალური კავშირი, რადგანაც მხოლოდ კავშირს შეუძლია ყოველგვარი დახმარება [illegible] თავის წევრებს, როგორც საქმის [illegible] ისე ყველა უფლების შო[illegible]. შეიძლება არიან ისეთები, რომლებიც [illegible] კავშირს იმ მოსაზრებით, რომ ერთხელაც შესდგა კავშირი და მალე დაიშალა, როგორც ცხრაას ხუთში და ექვს წელში. მაგრამ ეხლა სხვა არის. ეხლანდელი მდგომარეობა და მაშინდელი სხვადასხვაობაა. დღეს მეტი პოლიტიკური უფლებები გვაქვს მოპოვებული და თან შეგნებითაც მაღლა ვდგევართ. ეხლა ხალხსავე ეყოლება თავისი საქმის კეთება. ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება ჩვენს ხელშია, სხვა არავინ გაიცხელებს თავს. ამიტომ, ამხანაგებო, ნურც ჩვენ ჩამოვრჩებით ცხოვრებას და ჩვენი საქმე ჩვენვე მოვაგვაროთ. ამიტომ საჭიროა შეკავშირება. რაც შეიძლება „ჩქარა ჩაეწერეთ კავშირში. მიიღეთ მონაწილეობა, იარეთ ხშირათ თქვენ საკუთარ საქმეზე. მოაწყვეთ ის კავშირი, როგორც თქვენი ინტერესები მოითხოვდეს. ნუ დაიზარებთ კრებებზე სიარულს, შემოიერთეთ თქვენი ნაცნობი ამხანაგები, თან თვალყური ადევნეთ თქვენ ამორჩეულ ამხანაგების მოქმედებას. თითეულს თქვენგანს უფლება აქვს რაც არ მოეწონებათ იქონიოს თათბირი. იმედია მომავალ კრებას შეგნებულათ შეიკრიბებით ამხანაგებო!

რ. წ. თვალიაშვილი.

შორაპნის დეპო. შორაპნის დეპოს მუშები ერთსულოვანნი ვმუშაობთ. აქ შესდგა ს.-დ. ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას აქვს მოწყობილი წრეები, წრეებში მეცადინეობენ. თუმცა არა ყველა, მაგრამ მაინც ეტანებიან მუშები გაზეთს. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ შორაპნის შავი ქვის მუშები ძალიან გულგრილად ეკიდებიან საერთო საქმეს. ამას მოწინავე ამხანაგებმა ყურადღება უნდა მიაქციონ პროპაგანდისტებმა, რომ მუშათა კლასი თავის საჭირბოროტო საკითხს თვითონვე უნდა განაგებდეს. რევოლუციამ დიდი საკითხი დაგვაყენა წინ. ვხედავთ, რომ ბურჟუაზია თანდათან აპირებს გადადგომას, ისე რომ მალე მარტო ჩვენ დაგვაწვება რევოლუციის სიმძიმე. ამიტომ საჭიროა შორაპნის მუშებში შესდგეს პროპაგანდისტთა წრე—რომ კარგათ მოემზადონ და მერე თვითონ იმუშაონ შორაპნის მუშებში. აქ ური

მუშები უმეტესად შესდგებიან ადგილობრივ გლეხებიდან, სასურველია მათ აქ შეისწავლონ და შემდეგ გლეხებში გადაიტანონ პროპაგანდა. მუშების ინიციატორობით აქ ადგილობრივ თეატრში იმართება წარმოდგენა.

ხაჭარელი მ.

რევოლუცია პროვინციაში.

ქ. ელისავეტპოლი. 25 მაისს არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომისია, რომელშიც შედის სამი თფილისელი ამხანაგი და 7 კაცი ადგილობრივი ს. დ. პარტიიდან და ჯარისკაცთა საბჭოსაგან. ზემოთ დასახელებულმა კომისიამ მეორე დღესვე გამოუშვა ფურცლები, რომელშიაც მოუწოდებდა ყველა არსებულ პროფესიონალური კავშირების გამგეობებს დანიშნულ ადგილზე შეკრებილიყვნენ. კრებას გარეშე ხალხიც მრავალი დაესწრო და იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყოთ ამ დიდი მნიშვნელოვან ორგანოს მოსაწყობათ, სომხის შოვინისტები ამხედრდენ ჩვენს წინააღმდეგ. თურმე ნუ იტყვით, ჩვენ ცოდვა ჩავიდინეთ, რომ იქ, სადაც ისინი ბატონათ გრძნობენ თავს, მათ დაუკითხავათ და ნებადაურთველად გავბედეთ მუშათა საბჭოს მოწყობა და ისიც ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციასთან ერთად და არა მათთან. ჩვენმა ასეთმა გაბედულმა ნაბიჯმა ისე გააბოროტა ეს წმინდა წყლის შოვინისტები, რომ ობსტრუქციას მიმართეს და კრების ჩაშლა მოინდომეს, მაგრამ წესიერება აღდგენილ იქნა.

კრებამ დაადგინა: ყოველი ღონე იხმაროს, რომ დაუყონებლივ მოხდეს არჩევნები. გამოითქვა სურვილი მეორე დღეს საორგანიზაციო კომისიის რიცხვისათვის კიდევ დაემატებინათ რამოდენიმე კაცი. პირველ ივნისს მოვიწვიეთ მუშათა საბჭოს დამფუძნებელი კრება. ჩვენი მიზანია შევაერთოთ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები და შემდეგ ამგვარადვე მოვაწყოთ ადგილობრივი ძალების დახმარებით გუბერნიის დაბა ქალაქებში და უმთავრესად კი სოფლებში.

რაჟდენ ხონელი.

სოუდ ბულახი (პარსეთი). 9 მაისს აქ მოხდა ქართული მსროლელი პოლკის სამი ბატალიონის საერთო მიტინგი (1 ბატალიონი პოზიციაზე). მიტინგის მოწვევის მიზეზი იყო არჩევა ორი დელეგატისა მე-7-დე კორპუსის ყრილობაზე დასასწრებლათ, საიდგანაც თავიანთ შორის ირჩევენ სამს წარმომადგენელს გლეხთა სიეზდზე დასასწრებლათ პეტროგრადში. მიტინგი გაიხსნა პრაპორშჩიკ ქ. შავიშვილის თავმჯდომარეობით. მიტინგს დაესწრო თფილისიდან ჩამოსული დელეგატი პარუჩიკი ლიაბნიცკი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე კ. ქარცივაძე. პირველად ილაპარაკა ლიაბნიცკიმ რუსულ ენაზე, რომელმაც მშვენივრათ დაახასიათა რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა და რევოლუციონური ჯარის მოვალეობა. შემდეგ ილაპარაკა ქართულათ ქარცივაძემ, რომლის სიტყვამ დიდი აღტაცება გამოიწვია. შემდეგ ილაპარაკა სალდათმა ალ. კვერღელიძემ.

ჯარის კაცებმა ქარცივაძის წინადადებით ქუდის მოხდით და მარსელიოზის სიმღერით პატივი სცეს ამას წინათ მოკლულ სამ ამხანაგის ხსოვნას.

შემდეგ დაიწყეს არჩევნები. პოლკის კომიტეტმა წამოაყენა ორი კანდიდატი: პრაპორშჩიკი ქ. შავიშვილი და ალ. კვერღელიძე. ერთმა ოფიცერმა წამოაყენა კაპიტანი მაჩაბელის კანდიდატურა (უპარტიო) აგრეთვე იყო წამოყენებული ს. რევოლუციონერებიდგან სალ. ცომაია. თავის კანდიდატურა მაჩაბელმა მოხსნა. დაბოლოს უყარეს კანდიდატებს კენჭი ხელის აწევით და მიიღეს პრაპორშჩ. ქ. შავიშვილმა 3339, ალ. კვერღელიძე 3371, სალ. ცომაია 7 ხმა. ამ რიგათ ხმის უმეტესობით გავიდნენ ქ. შავიშვილი და კვერღელიძე. მიტინგი დაიშალა 7 ნახ. საათზე მარსელიოზის სიმღერით.

იათაის—ჭერელი.

სოფ. მარტყოფი (გარე კახეთი). გულით მოველოდებოდით ჩვენ რუსეთის ხალხის მონარქიული უღლიდან განთავისუფლებას. ჩვენც მხარში ამოუდექით. ჩვენდა საუბედუროთ ჩვენი გლეხი სრულიათ მოუმზადებელი შეხვდა ამ სანატრელ მომენტს. ენა ამოიდგმული ყმაწვილებივით ახლათ ვსწავლობთ ლაპარაკს. მაგრამ ამასაც გიშლიან, ზავრაზმელებს და პრისტავებს გვეძახიან. დემოკრატების სახელით თავადიშვილები და მათთან რამოდენიმე გლეხი აჩაღებენ ამ საქმეს. ესენი უკანონოთ არიან არჩეულნი კომიტეტში. ხელსაც კი უშლიან გლეხთა შეერთებას და საბჭოს არჩევას. თუ მოითხოვე გლეხთა საბჭოს შედგენა მაშინ პრავაკატორს გვეძახიან ამ ჯგუფმა იცის, რომ არჩევნები თუ მოხდა მათ არ ავირჩევთ და ამიტომ ცდილობენ გლეხები ორ ნაწილათ გაყონ. 30 აპრილს გვესტუმრა ერთი ამხანაგი, ჩვენ მოვითხოვეთ ფარული კენჭის ყრით გლეხთა საბჭოს არჩევა. შეგვპირდნენ, მაგრამ აგერ სამი კვირა გადის და ჯერ არავინ არ სჩანს. ეხლა ვთხოვთ ჩვენს ამხ. ს. დ. მოგვეშველონ და არჩევნები მოგვახდენინონ, თორემ საქმე ძლიერ არეულია.

გლეხი.

დ. ოჩამჩირე. ამ ბოლო ხანებში აქ ხმები გავრცელდა: „აფხაზეთი იარაღდება და ქართველების გარეკას აპირებენ აფხაზეთიდანო. ზოგიერთები გაიძახიან ოდიშზე აპირებენ გალაშქრებასო. ეს ხმები დღითი დღე იზრდება და ოჩამჩირე სოხუმში ხშირათ შეხვდებით ამის შესახებ ცხარე ბაასს. ეს ხმები რასაკვირველია და ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია. აფხაზეთს ჯერ არ დაუკარგავს გონება. აფხაზეთი წინ დახედულად შეხვდა დღევანდელ მდგომარეობას. სოხუმის ოლქის ყოველ კუთხეში შედარებით წინანდელთან დამყარებულია წესიერება. შემცირდა ყაჩაღობა, ქურდობა და ხალხიც შეუდგა ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვების გარჩევას. სხვათაშორის აქაურმა სამღვდელოებამ წამოაყენა კითხვა აფხაზეთის ეკლესიის საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიასთან შეერთების შესახებ. სამღვდელოების უმეტესობა, რომლებიც არა აფხაზებიდგან შესდგება, მოითხოვს აფხაზეთის ეკლესიის ეხლავე საქართველოს ეკლესიასთან შეერთებას. ამ კითხვამ გამოიწვია გაუგებრობა, თვით აფხაზეთის ხალხმა მოითხოვა, რომ სამღვდელოებას ეს კითხვა არ გადაეწყვიტა უხალხოთ. ამას ზედ დაერთო სოხუმელ ნაციონალისტების მიერ საქართველოს ავტონომიის საკითხის პირველ რიგზე წამოყენება და აი ჩაეყარა ნიადაგი ერთნაირ იდეურ უთანხმოებას აფხაზებს და ქართველებს შორის. ამით ისარგებლეს ბნელმა ძალებმა და შეუგნებელ ხალხში ხმები გაავრცელეს, თითქოს ქართველები აფხაზეთის ძალით საქართველოსთვის დაქვემდებარებას ცდილობდენ ანუ თავიანთ ტერიტორიალურ საზღვრებში მოქცევას უპირებდნენ და მათ თავიანთ ქვეშევრდომათ გადაქცევას. ასეთი აზრების სიყალბე ცხადია, რადგანაც არც ერთი ჭეშმარიტი რევოლუციონური პარტია არ ფიქრობს პატარა ერების დაჩაგვრას. ყველა ჩვენში არსებულ რევოლუციონურ პარტიების მიზანი ყველა ერთა ინტერესების დაცვაა და არავის არ შეუძლია თავზე მოახვიოს აფხაზეთს ისეთი რამე, რაც მათ ინტერესებს და შეხედულებას არ შეეფერება.

მაგრამ ხალხის მტრებმა ისარგებლეს შემთხვევით და ახსნეს მდგომარეობა ისე, თითქოს ქართველები აფხაზეთის მტრები იყვნენ, გაავრცელეს ხმები აფხაზეთი ქართველობას გარეკას უპირებს და აფხაზეთს ოდიში ეცემა იარაღით. ამ ყალბ ხმებს სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ აქვს. რევოლვერ ხანჯლებით აფხაზები მუდამ იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ არავის ეცემოდენ. ასეა დღესაც.

აფხაზეთში წელს კარგი მოსავალი იყო თუთუნის, თუთუნს დიდი ფასი ქონდა, ხალხმა დიდძალი ფული შეიძინა და ისიც თანახმად მამაპაპურ ჩვეულებისა ტანისამოსს და რევოლვერ ხანჯალს იძენს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რასაც ავრცელებენ ბნელი ძალები. ხალხის დიდი ნაწილი აღშფოთებულია იმ ბნელი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ასეთი ხმების გავრცელებით, ჩირქს სცხებენ აფხაზეთის ხალხს. აფხაზეთმა ფეხი შედგა კულტურის და პროგრესის გზაზე. ამას კი ვერ ითმენენ ბნელი ძალები, ქვენა გრძნობებით გატაცებულნი და ცდილობენ წყლის ამღვრევას. აფხაზეთის ხალხი არ წამოეგება ასეთ ანკესს. აფხაზეთის მშრომელი ხალხი იბრძვის უკეთეს მომავლისათვის მეზობელ ერებთან თანხმობით კულტურულ საშვალებებით. მოწინავე ელემენტების ვალია ჩაერიონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რევოლუციონურ პარტიების მიერ მიღებული პრინციპები ყველა ერთა თანასწორობა და სოლიდარობა იქადაგონ ხალხში.

ზანგანი.

პროვინციის ცხოვრება.

საჭამიას ხერი. (საჯავახოს მხარე). აქ 28 მაისს გაიმართა მიტინგი. მიტინგზე იყო წამოყენებული სხვა და სხვა კითხვები. წინადადება იყო: მომავალ წლის პირველ ენკენისთვიდან საჭამიას სერზე გაიხსნას უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ხალხი აღფრთოვანებით შეეგება ამ წინადადებას და აირჩია კომისია: სიმონ რამიშვილი, ლ. ყენია, ვ. ყენია, ალ. ხუნდაძე, მ. კუტალაძე, ლ. ძნელაძე, ი. ბერაია, ნ. [illegible], ტ. თევზაძე, მღ. ი. [illegible], ლ. გიორგაძე და ნ. [illegible]. ამხ. ს. რამიშვილი აცხადებს, რომ უკვე შესდგა ჯგუფი მასწავლებლებისა, რომლებიც კისრულობენ მოწაფეების მომზადებას ხსენებულ სკოლისთვის.

ამავე დღეს გაიმართა ეგნატე ნინოშვილის საღამო. პირველათ ამხ. დ. თევზაძე კითხულობს მოხსენებას შემდეგ თემაზე „ეგნატე ნინოშვილი, როგორც ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა იდეოლოგი“. რეფერატი მეტად შინაარსიანი გამოდგა. შემდეგ ამისა მოსწავლე ახალგაზრდობამ შინაარსიანი სიტყვებით და ლექსებით დაახასიათეს ეგნატეს მოღვაწეობა. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. წმინდა შემოსავალი იყო 84 მ. 44 კ. გაანაწილეს ასე: 40 მ. ნინოშვილის ძეგლის ასაგებათ, 20 მ. პარტიული სტამბის ფონდის გასაძლიერებლათ, დანარჩენი 24 მან. 44 კ. კი ადგილობრივი ს. დ. საბჭოს სასარგებლოთ.

საჭამიას ხერის ს. დ. პრესის ბიურო.

ს. ლიხაური (გურია). კვირას, 30 აპრილს, აქ შესდგა ქალთა კავშირის „იმედის“ დამფუძნებელი კრება. კრებამ გაარჩია შემდეგი საკითხები: წევრების მიღება, საწევრო ერთდროული გადასახადის განსაზღვრა, დროშის შეძენა, ძველი ზნეჩვეულების მოსპობა, და ხელმძღვანელი გამგეობის არჩევა. წევრათ ღებულობს კრება იმ პირთ, რომლებიც თავიანთი წარსულით ჩირქს არ მოსცხებენ „კავშირს“. ერთდროული საწევრო გადასახადი კრებამ განსაზღვრა ათი შაურით კავშირის ხარჯების დასაფარავათ. წინანდელ დამფუძნებელ კრების მომწყობ დროებითი კომისიას შეუძენია დროშა. აგრეთვე დაადგინეს: მოისპობილ იქნას ძაძი (რომელსაც მგლოვიარენი იცვამენ) და მის ნაცვლათ [illegible] ქრისტიანებმა გაიკეთონ მკლავზე ნიშანი, მკითხავებთან სიარული, ენა-ტანიობა, წინდაწინ ხატთან შეპირებული, დღეობაზე ფეხშიშველი სიარული, უთავბოლოთ წივილ-კივილი და თმის წეწვა ტირილის დროს. შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობისა, აირჩიეს შემდეგნი პირნი: მასწ. ოლია სულუხია, ვ. ბერაძისა, დ. ქავთარაძისა, ამპ. ურუშაძისა, ელ. სალუქვაძის ასული, ნ. გოგოლიშვილისა და აგრეთვე ე. გოგოლიშვილის ასული. შემდეგ გამგეობამ აირჩია თავიანთ შორის თანამდებობის პირნი, თავმჯდომარეთ: ნ. გოგოლიშვილისა, ამხანაგათ: დ. ქავთარაძისა, ხაზინადრათ და იმავე დროს მდივნათაც ელ. სალუქვაძის ასული. აგრეთვე გადასწყვიტეს პოლიტიკური სკოლის დაარსება, იქნება მეცადინეობა უზნობით ყოველ ხუთშაბათობით ნაშუადღევის ორ საათიდან, და ყოველ კვირა დღეს შეერთებული კრება ლიხაურის სკოლის დარბაზში.

მუშა [illegible].

ს. ჩოჩხათი (გურია). 28 მაისს აქ შესდგა საზოგადო კრება. გაირჩა ბევრი საყურადღებო კითხვები: დამტკიცებულ იქმნა საზ. მიერ ძველი 1916 წ. ანგარიშები და 1917 წ. ხარჯ-აღრიცხვა, რომელიც შეადგინა ადგილობრივმა დროებითი კომიტეტმა. მავნე ჩვეულება, როგორიც არის მაგალითად ქელეხის მართვა, სანთლების ზიდვა და სხვა—უარყოფილი იქნა. 21 მაისს საზ. მიერ ეგ. ნინოშვილის საფლავზე დაარსებულ სკოლის მოსაწყობათ არჩეულ იქმნა სასკოლო კომიტეტი შვიდი კაცისაგან შემდგარი; კომიტეტში შედიან: ს. ტულუში, ა. მაისურაძეშვილი, ვ. გუჯაბიძე, გ. გძელიძე, ლ. ხუციშვილი, დ. ჯაჯიაშვილი და ე. მაისურაძეშვილი, კრებამ ერთხმათ დაგმო აქ პენტურიას საქციელი, რომელმაც მიითვისა ბათუმ ტრაპიზონის გზის მუშათა მიერ გადადებული ორგანიზაციის სასარგებლოთ 60 მ.

ამავე დღეს საღამოს აქ გვეწვია ამხ. კალე[illegible] მომღერალთა გუნდით. მან წაიკითხა ლექცია, ხოლო გუნდმა იმღერა [illegible] სიმღერები. ერთი მესამედი შემოსავლისა გადაეცა ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციას.

ხორეთელი.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

ქ. თფილისში, ოლღას ქ. № 6, გ.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფულის გამოგზავნისთანავე.

[illegible] აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი [illegible] გაზეთები „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, [illegible] „განათლება“, [illegible], [illegible] და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

[illegible] შესახვევი № 1.